საქ. სსრ
სახ. სატ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

CCCP

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 199 (20240) ✦ კვირა, 28 აგვისტო, 1988 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

კულტურის კერებს— განსაკუთრებული ყურადღება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რაიონული კულტურის სახლებისა და სოფლის კლუბების მშენებლობის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დმანისის, ზნაურის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გორის და წალკის რაიონების, ქალაქების გაგრისა და ტყიბულის პარტიული კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად უწევენ კონტროლს ამ გადაწყვეტილების შესრულებას. ამას შედეგად მოსდევს შესაბამის საგეგმო დავალებათა ჩაშლა, რის გამოც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ" სამართლიანად გააკრიტიკა რესპუბლიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა გააძლიერონ პარტიული კონტროლი და იმ კომუნისტების — ადგილობრივი საბჭოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პარტიული პასუხისმგებლობა, რომლებიც ჯეროვნად არ აფასებენ რაიონული კულტურის სახლებისა და სოფლის კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხის სოციალურ მნიშვნელობას, უზრუნველყონ დადგენილ ვადებში მათი მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გეგმების უცილობელი შესრულება. გამოიჩინონ მეტი პრინციპულობა და სიმტკიცე ამ საქმეში კონკრეტული პრობლემური საკითხების გადაწყვეტისას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარეს გ. დ. მგელაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს ო. გ. ვაშკელაშვილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ვ. რ. ასათიანს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარეს გ. ზ. მირიანაშვილს დაევალათ განიხილონ მშენებლობის გეგმების შესრულებაში „საქაგრომშენის" (ი. ა. ხარატიშვილი) სერიოზული ჩამორჩენის მიზეზები და მიიღონ შესაბამისი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას ჩამორჩენა და ობიექტები ჩაბარდეს დადგენილ ვადებში. გადასინჯონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ ხუთწლედში მშენებარე კულტურის ობიექტების ოპტიმალური დისლოკაციის საკითხი და შეიმუშაონ შესაბამისი გადაწყვეტილება. უზრუნველყონ, რომ მიმდინარე წლის დამლევამდე დამთავრდეს კლუბის შენობების ახალი ტიპობრივი პროექტების შემუშავება მათი ფუნქციური შესაძლებლობისა და არქიტექტურულ-მხატვრული გამომსახველობის გაძლიერების მიზნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს 3. მ. სირაძეს და რესპუბლიკის კულტურის მინისტრს ვ. ასათიანს დაევალათ გააძლიერონ მუშაობა კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, აამაღლონ საქვეუწყებო სამსახურების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის, კულტურის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილებებს დაევალათ გაწიონ შესაბამისი ორგანიზატორული მუშაობა უწყებათა-სამინისტროების, სამშენებლო ქვეგანაყოფების, ადგილობრივი პარტიული ორგანოების ძალისხმევის მობილიზაციისათვის, რათა უცილობლად შესრულდეს საკლუბო მშენებლობის, რაიონული კულტურის სახლებისა და სოფლის კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების სამუშაოთა საგეგმო დავალებანი.

განსაზღვრულია რაიონული კულტურის სახლებისა და სოფლის კლუბების მშენებლობის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის სხვა კონკრეტული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

28 აგვისტო მეშახტის დღე



შესაშური მაგალითი

ასეთი თავდადება, მართლაც რომ, იშვიათია. 16 წლის იყო გევო ცირეკიძე, როცა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ტყიბულის ლენინის სახელობის მაღაროში მივიდა. ახალგაზრდას პირველად უკუნეთ სიბნელეში გზის განათება დაავალეს. მეშახტეებთან სინათლის მიმტანად დანიშნეს. სულ მალე კი მნგრეველად გადაიყვანეს. ჯანმაგარი კაცი გამოდგა მეშახტე, ყოველწლიურ სახელმწიფო დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდა. 30 წელი ანგრევდა იგი ქვანახშირს. მთავრობამ პენსია დაუნიშნა, მაგრამ შრომას შეჩვეულმა მაინც ვერ მოისვენა. ტყიბულიდან თბილისში ჩამოვიდა და უკვე ცამეტი წელია მეტროს მშენებლობაზეა. ამჟამად „თბილისგვირაბმშენის" № 51 შახტში მკლავმოუღლელად შრომობს ვეტერანი მეშახტე. საოცარია, მაგრამ ფაქტია — ყოველდღიურ დავალებას იგი კვლავ 120-130 პროცენტით ასრულებს და თავისი საქმის განსაკუთრებული ოსტატია.

48 წელი შახტში... მართლაც რომ ახალგაზრდობისათვის შესაშური მაგალითია.

სურათზე: გევო ცირეკიძე.

თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.

მემკვიდრეობა

◆ **მცხეთის** ახლომახლო არსებულ ძეგლთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მათი სიმრავლე განაპირობა შიდა ქართლის ამ რეგიონში მიმდინარე კლასობრივი საზოგადოების ფორმირების, სახელმწიფოს წარმოქმნის, ქალაქების წარმოშობისა და საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბების რთულმა და ხანგრძლივმა პროცესებმა, „რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა".

ამჯერად მხოლოდ იმ ძეგლებს შევეხებით, რომლებიც ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა და ესოდენ დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ ქართლის სამეფოსა და ჩვენი ძირძველი ისტორიის შესასწავლად.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში, სარკინეთის ქედის თხემსა და კალთაზე ანუ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე არქეოლოგებმა ამ ჩვიდმეტიოდე წლის წინ პირველად დაჰკრეს მიწას წერაქვი. აღმოჩნდა რომ, კლდეში ნაკვეთ ტერასებზე არქიტექტურულად გაფორმებული, კრამიტით გადახურული საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი მდგარა. ჩაქცეული კრამიტის სახურავქვეშ, იატაკზე, ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაების დიონისესა და მისი მეუღლის არიადნეს ტერაკოტები, მათ წრეში შემავალ პერსონაჟთა ნიღბები აღმოჩნდა. ღვთაებათა გამოსახულებანი ბერძნულ-რომაულ სამყაროში დაკანონებული წესით არიან გამოძერწილი, ხოლო პერსონაჟთა ნიღბები ადგილობრივ ტიპაჟს წარმოადგენენ. აღმოჩენილ იქნა ალექსანდრული წარმომავლობის ფერადი და ოქროთი მოვარაყებული მინის თასები, შავლაქიანი ჭურჭლის ნატეხები, ოქროს სამკაულები და ა. შ.

მოპოვებულ მასალათა მიხედვით, ნაქალაქარში გამოკვეთილად ჩანს ორი პერიოდი. პირველი პერიოდის ძეგლები ძველ წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო მეორე — ახლით I-III საუკუნეებს. გამოვლენილი ძეგლები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რელიგიური რწმენის, ქალაქმშენებლობის, სამშენებლო მასალების, ხელოსნობის დარგების, გარე სამყაროსთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობისა და კულტურის საერთო დონეზე.

დიდი მნიშვნელობის ძეგლები გამომზეურდა ნასტაკისის ველზე, რითაც დადასტურდა, რომ მტკვრისა და ქსნის შესაყართან ადამიანს შუა ბრინჯაოს ხანაში — 4 ათასი წლის წინათ უცხოვრია. გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. I ათასწლეულში) საცხოვრებლად გამართულ ნაგებობათა ნაშთები კი, მართლაც რომ, სწორუპოვარია! შენობები ნახევრად მიწურები ყოფილა. კედლები ერთმანეთზე კარგად მორგებული ქვიშაქვის ნატეხებით ამოუყვანიათ მიწაში. მიწისზედა ნაგებობა კი ჯარგვალის ტიპისა ყოფილა, რასაც ხის ბოძთა ნაკვალევი მოწმობს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების ხანის ნაქალაქართა გათხრებისას გამოვლენილი მასალები. ანტიკურ ხანაში დატერასებულ ველზე საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობანი აუშენებიათ. „ნასტაკისის გორაზე" კი კოლონებითა და ლირიული ორდერის კაპიტელებით შემკული ტაძარი ყოფილა აღმართული, რომელსაც იატაკი წვრილი რიყის ქვის მოზაიკისა, ხოლო სახურავი — ხელით ნაძერწი, წითლად შეღებილი კრამიტისა ჰქონია. ცენტრალურ ტერასაზე გათხრილ სამლოცველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ იქნა საკურთხევლები, კერიები, ხელსაფქვავებით გაწყობილი წისქვილი, მოხატული ქვევრები, მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ფორმის, სიდიდისა და დანიშნულების თიხის ჭურჭელი.

1987 წელს, კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის შემოსავლელი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, ნასტაკისის ველის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სარწყავი რუს ნაწილი გაითხარა. საისტორიო წყაროების მიხედვით მისი გაყვანა ალექსანდრე მაკედონელს მიეწერება. არხის არსებობა დაადასტურა გეოლოგიურმა ექსპერტმაც. ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია ძველ საქართველოში მორწყვის, სარწყავი არხების მშენებლობისა და სარწყავი მიწათმოქმედების შესასწავლად.

თუ ნასტაკისის ველსა და სამადლოს გორაზე განათხარ უმდიდრეს მასალებს გავითვალისწინებთ და ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ზოგიერთ ცნობას ვერწმუნებით, ეჭვგარეშეა, რომ მტკვრისა და ქსნის შესაყართან არსებობდა ქალაქი, რომლისთვისაც „სამადლოს გორა", აკროპოლისს — დედაციხეს წარმოადგენდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო ნასტაკისის ველზე არსებული დასახლება — მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშლილ ქალაქის უბანს. განათხარი მასალების მიხედვით ქალაქი ძვ. წ. III საუკუნეში წარმოშობილა და იგი ახლად შექმნილი ქართლის სამეფოს პირველი დედაქალაქი, საისტორიო წყაროებში მოხსენიებული „ძუელი მცხეთა" გახლავთ. როგორც დედაქალაქმა, მან ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნამდე იარსება.

ნასტაკისის ველზე უფრო ძლიერი დასახლებაც ყოფილა ადრეულ შუასაუკუნეებში, რასაც ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრით ნაგებობათა ნაშთები მოწმობს. საცხოვრებელი ნაგებობანი მრავალი ოთახისა და ერთი დიდი დარბაზისგან (120) შედგებოდა. ამგვარ ნაგებობებში ერთი ოთახი მცირე ეკლესიას წარმოადგენდა — მკვეთრად გამოყვანილი აბსიდითა და ნართექსით. ამ პერიოდში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული ოფიციალურ სახელმწიფო სარწმუნოებად, არალეგალურ მდგომარეობაშია და თავშეფარებული ჩანს საცხოვრებელ ნაგებობებში. ამ ფაქტს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიის შესასწავლად.

საცხოვრებელ ნაგებობებში გამოვლინდა მარნები, რომლებშიც 1000-1500 დეკალიტრი ტევადობის ქვევრებია ჩაყრილი. აღმოჩენილია დიდძალი სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მასალა. მარტო ის რად ღირს, რომ ნასტაკისის ველზე გაითხარა ქართლის სამეფოს სპასპეტის სასახლე შიგ ჩაშენებული ეკლესიით, მარნით, აბანოთი და დიდი დარბაზით! ამით ფაქტობრივად დადასტურდა საისტორიო წერილობითი წყაროს ცნობა, რომ ქართლის სამეფოს სპასპეტს (ადრეულ შუასაუკუნეებში) საცხოვრებელი სახლი ნასტაკისის ველზე ედგა.

ნასტაკისის ველის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ითხრება ამავე ხანის ვრცელი სამაროვანი. აღმოჩნდა ქვის ფილებით შეკრული საოჯახო სამარხები (ზოგში თხუთმეტამდე მიცვალებულია დაკრძალული), ორმოსამარხები, თიხის სარკოფაგები; სამნავიანი ბაზილიკის მახლობლად გაითხარა აკლდამა, რომელშიც 35 მიცვალებული იყო დაკრძალული.

ჩვენს ხელთ არსებული განათხარი მასალის მიხედვით, მოსახლეობას ნასტაკისის ველი VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე მიუტოვებია და სხვაგან გადასახლებულა. გავიხსენოთ მემატიანის სიტყვები: **„მაშინ მცხეთაი ათხელდებოდა"...**

1975 წლიდან მიმდინარეობს გათხრები სოფელ ალაიანის ტერიტორიაზე (კასპის რაიონი), ქსნის მარჯვენა ნაპირზე. იგი, სამადლო-ნასტაკის-ძალისთან ერთად, კულტურულ-ეკონომიკურ რაიონს წარმოადგენს. აქ გამოვლენილ ძეგლთაგან ყურადსაღებია ანტიკური ხანის (ძვ. წ. II და ახ. წ. IV საუკუნეები) მჭიდროდ დასახლებული მრავალფენიანი ნაქალაქარი; ამავე პერიოდის მდიდრული სამარხები რიყიანების ველზე; გვიანბრინჯაოს ხანისა და ადრეულ შუასაუკუნეების სამაროვნები თხოთის მთის ჩრდილოეთ კალთაზე; კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული ჩურა-სახელოსნოს ნაშთები და სხვა. ამ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ძეგლთა შესწავლით დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ სოფელ ალაიანის მიდამოებში, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, არსებობდა ქალაქი.

ძალისი და ნასტაკისი

ნაქალაქარი ძალისი მცხეთის რაიონშია, მუხრანის ველზე. მდინარე ნარეკვავი ორ ნაწილად ყოფდა მას. არსებული მონაცემების მიხედვით, ქალაქს ერთი კვადრატული კილომეტრი ფართობი ჰკავებია. ალიზის აგურით ნაგები, გალავანშემოვლებული აკროპოლისი (დედაციხე) ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზეა, შემაღლებულ ბორცვზე, ქალაქის უბნები კი დედაციხის გარშემო ყოფილა გაშლილი. ნაქალაქარის შემოგარენში მიკვლეულია სინქრონული, სამი ვრცელი სამაროვანი.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი აბანოს კომპლექსი ორ ათეულამდე სხვადასხვა დანიშნულების ოთახს შეიცავს. მათ შორისაა ტუფისა და ქვიშაქვის გათლილი კვადრებით ნაგები ატრიუმი — ღია ეზო შადრევნის აუზით და სატაძრო განყოფილება. ისინი ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნით თარიღდება.

სწორედ აბანოს კომპლექსის გასწვრივ გაითხარა საცურაო აუზი — საქართველოს არქეოლოგიის უნიკალური ძეგლი!..

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი ატრიუმიანი სასახლის ფართი 2500 კვადრატული მეტრია და 30-ზე მეტ ოთახსა და დარბაზს შეიცავს. აბსიდებიანი ნაგებობაც უნიკალურ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე სხვა ნაგებობათა ნაშთებიცაა მიკვლეული და გათხრილი. ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეების ნაგებობათა ქვეშ მათზე ადრინდელი ხანის ნაგებობათა ნაშთებია მოქცეული, რომელთა გათხრა და შესწავლა, თითქმის შეუძლებელია. ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ახ. წ. I-III საუკუნეების გრანდიოზული ნაგებობების ნაშთთაგან — მოცულობითაც და მშენებლობის დონითაც.

გამოვლენილ ძეგლთა და მასალათა მიხედვით ქალაქის სახე ასე წარმოგვიდგება: ქალაქის ტერიტორიაზე აგებული ყველა შენობა (აბანოებისა და საცურაო აუზის გამოკლებით) ალიზის აგურითაა ნაშენი და დახურულია კრამიტით. ქალაქის ამ კვარტალში იწყება მთავარი საკანალიზაციო კოლექტორი. ყველა დიდ ნაგებობას საკუთარი წყალსადენი და კანალიზაცია აქვს. ქალაქი მარაგდება სასმელი და ტექნიკური წყლით. წყალსადენები ორმაგია. ქვედა აგებულია ქვიშაქვის ქვებით დუღაბზე. წყალსადენები გაყვანილია ტყვიისა და თიხის მილებით, შესამოწმებლად კი ... გამართული. ცოცხით ... მილებით გამ... გაფილტვრა, რაც ტექნიკური ... როვნებისა და კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია.

თუ მოკვლეულ მასალათა მიხედვით ვიმსჯელებთ, ქალაქი ახ. წ. I-IV საუკუნეებში არსებობდა და განვითარების ზენიტს II-III საუკუნეებში მიაღწია. IV საუკუნის შუახანებში ქალაქი განადგურებულა, გადამწვარა და დანგრეულა; VI-VII საუკუნეებში ქალაქში ცხოვრება კვლავ აღორძინებულა, მაგრამ VIII საუკუნის 30-იან წლებში, მურვან-ყრუს ლაშქრობის შემდეგ, კვლავ ჩამკვდარა. აქედან მოყოლებული კი, მთელ მის ტერიტორიას სახნავ-სათესად იყენებდნენ.

წელთა განმავლობაში ალიზის ნაგებობანი დაშლილა, ნანგრევები მიწით დაფარულა და ქალაქიც გამქრალა ისტორიის ასპარეზიდან. მუხრანის ველზე არსებულმა ქალაქმა ქართულ საისტორიო წყაროებში ვერ ჰპოვა ასახვა. მეორე მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ძალისი წარმართული სარწმუნოების ბუდეს წარმოადგენდა და არც ქრისტიანი მემატიანენი წყალობდნენ.

ძალისი ქართულ საისტორიო წყაროებში პირდაპირ როდია მოხსენიებული. ნართაული ცნობებით კი იგი „მუხნარით კერძი ქალაქია", რომელსაც ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის ალექსანდრიელი პტოლემაიოსი „ძალისის" სახელით იხსენიებს. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით კი იგი ქართლის სამეფოს სპასპეტის რეზიდენცია გახლდათ.

ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ძალისის ტერიტორიაზე გამოვლენილი შესანიშნავი ძეგლები, რომლებსაც ბადალი არ მოეპოვებათ საქართველოს არქეოლოგიაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახ. წ. I-IV საუკუნეების ქალაქის სახეს, ალნაგობას, გეგმარებასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კომუნალურ მეურნეობას, ეკონომიკისა და კულტურის დონეს სწორედ ამ გათხრების წყალობით ვიცნობთ. ამდენად, აქ გამოვლენილი ძეგლები შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, რათა მომავალ თაობებს ღირსეულად შევუნახოთ ეს მემკვიდრეობა — უმნიშვნელოვანესი ძეგლი წინაპართა მატერიალური და სულიერი კულტურისა, რომლის ბადალიც ჯერჯერობით არ მოგვეძებნება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძალისში გამოვლენილ ძეგლთა კონსერვაციას, რესტავრაციასა და მოვლა-პატრონობას დიდხანს არ ადგებოდა საშველი. ამის გამო ზოგი ძეგლი საკმაოდ დაზიანდა, ზოგიც დაინგრა!..

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართლის სამეფოში თუ არ იქნებოდა ძალისი და მისი მსგავსი ქალაქები, ალბათ, ვერც ბოლნისის სიონი, ჯვარი, სვეტიცხოველი და სხვა დიდებული ტაძრები აშენდებოდა; არ შეიქმნებოდა წრომისა და გელათის მოზაიკები და ა. შ. მათი მშენებლობის ტრადიციას ხომ ანტიკურ ხანაში ჩაეყარა საფუძველი?! ამდენად, მიწისქვეშა ანუ განათხარ ძეგლებსაც ესაჭიროებათ სათანადო ყურადღება!

ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამმართველომ ძალისის ტერიტორიაზე პავილიონი აგო მოზაიკის დასაცავად. მათ მიერვე უკრაინიდან მოწვეული სპეციალისტები ორ წელიწადს აწარმოებდნენ მოზაიკის საკონსერვაციო სამუშაოებს. მაგრამ რა გამოვიდა... სამუშაო დაუსრულებელი დარჩა და აგერ, დაიწყო კიდეც მოზაიკის ნაკლებად გამაგრებული თუ გაუმაგრებელი ადგილების დაშლა. დღითი დღე მატულობს და საფრთხე ემუქრება მოზაიკის დიდებულ პანოს. საკმაოდ დაზიანდა სასახლის გათლილი ქვით ნაგები აუზებიც.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით უკვე დაიწყო ძალისის ძეგლთა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები, ახლა სასახლის შადრევნის აუზისა და ცენტრალური გათბობის ჰიპოკაუსტის დამცავი მცირე პავილიონის მშენებლობა მიმდინარეობს. უახლოეს დღეებში დასრულდება საცურაო აუზისა და აბანოს კომპლექსის დამცავი დიდი პავილიონის პროექტი და მისი მშენებლობაც დაიწყება.

პირველი რიგის, გადაუდებელ სამუშაოდ უნდა მივიჩნიოთ მოზაიკის დაშლის პროცესის შეჩერება. მოზაიკის კონსერვაცია-რესტავრაციასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები მხოლოდ ამ პროცესის შეჩერების შემდეგ უნდა განხორციელდეს!

არქეოლოგიური ექსპედიცია უმძიმეს დღეშია მუშახელის ნაკლებობის გამო. მარტო რაიონის ხელმძღვანელთა მცდელობით ფონს ვერ გავალთ, საჭიროა ახალგაზრდობის, კერძოდ კი სტუდენტობის თანადგომა, რათა ძალისმაც დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი ტურისტულ რუკაზე. ეს ხომ ჩვენი საერთო მოვალეობაა, და კიდევ — მემკვიდრეობითობაა, ბოლოს და ბოლოს!...

ალექსი ბოხოჩაძე,
ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

სურათებზე: ძალის ნიღაბი, ნაქალაქარი სარკინე, ძვ. წ. ა. II-I ს.ს.; ნასტაკისი, ძვ. წ. ა. II I-II ს.ს. ნაგებობათა ნაშთები.

ი. ბინბელდორფისა და ავტორის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ

გამოვიდა მეორე ტომი კრებულისა „კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი. კომუნისტური საზოგადოებრივი ფორმაციის შესახებ", რომელიც ორი წიგნისაგან შედგება. იგი შეიცავს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებების ციტატებს, წერილების ნაწყვეტებს, რომლებიც ეხება მომავალი საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბების თეორიის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხს. წიგნს ახლავს შენიშვნების ვრცელი ნუსხა, სახელთა და თემატიკური საძიებლები, სარედაქციო აღნიშვნები ველებზე.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

▼ ▼

ტონს აძლევენ მაღაროელები

ქართველი მეშახტეები თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს კარგი მაჩვენებლებით ხვდებიან. მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი მეშახტეებმა 8 მ ა ასი პროცენტით შეასრულეს, რაც 0,6 პუნქტით აღემატება საშუალო რესპუბლიკურ დონეს. შესრულდა ქვანახშირის მოპოვების გეგმა — ამოღებულია გეგმაზე ასობით ტონით მეტი. მოწინავე მაღაროელები გ. გაზდელიანი, ჯ. ბოლქვაძე, ს. ამიჩბა, შ. ბუდაბაძე, გ. სალია, ა. გოგუა, ვ. ხინტუბა და სხვები განაგრძობენ იმათ სახელოვან ტრადიციებს, ვინც საქართველოში სტახანოვური მოძრაობის განვითარების სათავეებთან იდგა. ესენი იყვნენ — ივანე ორჯონიკიძე, ზაზებ ქიბა, ნიკოლოზ ხაჩიფერაძე, სერგი კარეტნიკოვი, ბიკენტი ტეფნაძე, ოთარ სვანაძე, შოთა კუბლაშვილი.

▼ ▼

უხვ მოსავალს ხვეტავენ

ზესტაფონი. სახელმწიფოს მიეყიდოთ 21 ათასი ტონა ყურძენი! ამ დევიზით შრომობენ ზესტაფონელი მევენახეები, რომლებიც შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ასრულებენ რიგთაშორისების დამუშავება, ვაზის შეწამვლა და სხვა შრომითი ოპერაციები.

განსაკუთრებით კარგად იშრომეს სოფლების ფუთის, კლდეეთის, ალავერდის, სვირის კოლმეურნეობებისა და რადინაულის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც ყოველი ჰექტარი ვენახიდან 5-7 ცენტნერით მეტ ყურძენს მოელიან, ვიდრე შარშან.

წერილები კომუნისტს

ვნახოთ, როგორი რთვლობა გვექნება

ანუ გურჯაანელთა გულისტკივილი უგზოობის გამო

რთვლის მოახლოება, როგორ არ უნდა უხაროდეს მევენახეს, მაგრამ შარშანდელი წამება რომ გვახსენდება, ნეტავ ხულაც არ მოეგონათ ვაზი. არადა, ამ დალოცვილის გარეშე ვერ ვძლებთ. ყველა გაჭირვებას ვიტანთ, ოღონდ ვაზს არაფერი „ასტკივდეს", ოღონდ გათამამდეს და დაავადებებმა არ დაჩაგროს.

სოფელ გურჯაანიდან გწერთ ამ წერილს. დიდ დროს არ წაგართმევთ, მოკლედ გეტყვით ჩვენს გულისტკივილს. მოგახსენებთ, რომ ვენახები გვაქვს „მუხებში". ამ ადგილამდე მისასვლელი გზაც გვქონდა და კვალიც. ჩვენ თვითონ, ჩვენი სახსრებითა და მარჯვენით გავაკეთეთ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ეს გზა ჯადათხარეს. სასმელი წყლის მილები ჩააწყეს და აქაურობა აყრილ-დაყრილი მიატოვეს. მაშინ სართვლოდ ვემზადებოდით. გზა ისეთ მდგომარეობაში დაგვიტოვეს, რომ ვენახებამდე ავტომანქანები ვერ მივიყვანეთ და კარგა მანძილზე ტონობით ყურძენი ვიდროებით ვზიდეთ.

ეს რთველი კი ჩაგვიწარდა, მაგრამ არც შემდგომ დაგვადგა კარგი დღე. ზურგზე შესაწამლი აპარატი გვეკიდა, ცალ ხელში შაბიამანი, მეორეში ხსნამელ-ხსნამელი გვეჭირა და ასე შავდღეობით მოვდით მეორე რთვლობამდე.

თუ სადმე სამართალია, ჩვენ ამის გულისათვის არ უნდა გაწუხებდეთ და არც ჩვენ უნდა ვირჯებოდეთ. ამ ბოლო დროს სულ იმას გავიძახით, ყველამ თავისი საქმე აკეთოსო. მაგრამ სხვისი მოლოდინის როლში უფრო გამოვდივართ.

კარგი სამეურნეო, თუ საბჭოთა ხელმძღვანელი, არც პარტიულ მუშაკებს აწუხებდა, დროდადრო მაინც უნდა მივიდეს სოფელში და გაესაუბროს მშრომელებს. მაგრამ ვის ცხელა სოფლისათვის. ეგ კი არა და რაიონში ბევრს მივმართეთ ამ ჩვენი გზის თაობაზე, მაგრამ დაპირებების მეტი ვერაფერი მივიღეთ. წლეულსაც თუ შარშანდელივით რთვლობა გვექნება სულ შეგვაძულებენ ვენახს. კარგი ხელმძღვანელი რთვლობის წინ ვენახში და ღვინის ქარხნებში მისასვლელი გზების მდგომარეობით დაინტერესდება და ამასთანავე იზრუნებს სასმელი წყლისათვის. ეს ორი რამ აუცილებელია რთვლობის ნორმალურად ჩატარებისათვის...

ჩვენი გულისტკივილი გითხარით და ვნახოთ წლეულს, როგორი რთვლობა გვექნება.

ზურაბი, შალვა, მიხეილ კუპარაშვილები — პენსიონერები,
გიორგი კოდალაშაზაშვილი — კალატოზი,
ალექსი პეტრიაშვილი — მძღოლი...

განმარტება მკითხველთა თხოვნით

დავიცვათ ბაღჩეული შხამქიმიკატებისაგან

ამ ბოლო ხანს ხშირად გაიგონებთ შემაშფოთებელ ცნობებს საზამთროსა თუ სხვა ბაღჩეულისგან ცალკეულ პირთა მოწამვლის შესახებ. ბევრი შეშინდა და აღარ ყიდულობს საზამთროს, ნესვს, მაგრამ განა მარტო ამ პროდუქტებშია აღმოჩენილი ზედმეტი შხამქიმიკატების მინარევები, ასე რომ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას?

ძვირფასო რედაქცია!

გთხოვთ განგვიმარტოთ: რამდენად სწორია ეს ხმები, ნუთუ ჩვენი გლეხობიდან ზოგი ისე გადაგვარდა, ფულის გაკეთებამ ისე გაიტაცა, აღარ დაგიდევთ, მის მიერ მოყვანილი პამიდვრით, საზამთროთი თუ ნესვით ვინმე მოიწამლება, ჯანმრთელობა შეერყევა. არა, არა გვგონია! ვფიქრობთ, ეს უფრო უცოდინარობით ემართებათ. არ იციან: რამდენი და რა რაოდენობით უნდა იხმარონ მინერალური სასუქი, რომ უხვი მოსავალი მოიწიონ. ამაში მათ დახმარება ადგილებზე უნდა გაუწიონ აგრონომებმა, ამ თემაზე უფრო ფართოდ უნდა წერდეს რაიონული გაზეთები, თორემ რა გამოდის. ზოგს ჰგონია ბაღჩეულს რაც უფრო მეტ სასუქს დააყრის, უფრო უხვ და კარგ მოსავალს მიიღებს. და აჰა გაჩნდა ხილბოსტნეულის მაღაზიებსა, თუ საკოლმეურნეო ბაზრებში არა ბუნებრივად მსხვილი და დიდი კიტრები, პამიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო, საზამთრო. შეცვალა ამ პროდუქტებმაც გემო. ხშირად მოისმენთ მოხუცებისაგან: სადღაა წინანდელი კიტრის ან პამიდვრის გემო, ამ ქიმიზაციამ ყველაფერი გააფუჭა. დიახ, არა მარტო გემო დაუკარგა პროდუქტებს, რაც მთავარია, ჯანმრთელობისათვის საზიანო გახდა. რამდენჯერ შევხვედრივართ ასეთ ფაქტს, ნაცნობ ოჯახში რომ მოვხვედრილვართ, მასპინძელს უთქვამს: მიირთვით, ეს პროდუქტები ჩვენთვის, ოჯახისათვის არის მოყვანილი, მეურნეობაში ჩასაბარებლად და გასაყიდი სხვა მოგვყავს. ესე იგი, ის პროდუქტები სასუქებით არის გამდიდრებული, მაგრამ იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ ზედმეტი შხამქიმიკატებისაგან ნიადაგს წამლავენ და შემდეგში იმავე ნიადაგში თავიანთთვის მოწეული ბაღჩეული მოწამლული იქნება.

ლ. ხუნდაძე,
დიასახლისი.

რედაქციაში არა ერთი წერილი მივიღეთ, რომელშიც მკითხველები გვიზიარებენ თავიანთ აღშფოთებას ბაღჩეულისაგან მოწამვლის ფაქტების გამო. ჩვენ დაინტერესდით ამ მოვლენით და განმარტებისათვის მივმართეთ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს საქალაქო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ ექიმს დ. გაგუას, მან გვითხრა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩვენს დედაქალაქში უკვე დაიწყო ხილბოსტნეულის მაღაზიებსა და საკოლმეურნეო ბაზრებში სარეალიზაციოდ გამოტანილი ბაღჩეულის (საზამთრო, ნესვი, კომბოსტო, ჰარხალი, კარტოფილი) შემოწმება მათში ნიტრატების შემცველობის დასადგენად. და თუ აღმოჩნდება ამა თუ იმ პროდუქტში დასაშვებ ნორმაზე მეტი ნიტრატი, მათი გაყიდვა აიკრძალება! მანვე გადმოგვცა მათი სანიტარიული სამსახურის მიერ შემოწმებული მასალები, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

მიმდინარე წლის 16 აგვისტოდან სანიტარიული სამსახურის მიერ საზამთროსა და ნესვში ლაბორატორიული გამოკვლევისათვის აღებული 30 ნიმუშიდან ნიტრატების შემცველობა დასაშვებ ნორმებთან შედარებით მეტი აღმოჩნდა ხუთ შემთხვევაში. მათ შორის არის შემდეგი ობიექტები: თბილაგრომრეწვის ექსპერიმენტული მაღაზია № 1, აქ 16 აგვისტოს შემოწმდა ნავთლუღის საბითუმო ბაზიდან მიღებული საზამთრო, მასში ნიტრატების შემცველობა დასაშვებ ნორმასთან შედარებით სამჯერ მეტი იყო — ერთ კილოგრამში 213 მილიგრამი, დასაშვები ნორმა კი კილოგრამში 60 მილიგრამს ითვალისწინებს.

18 აგვისტოს პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში აზერბაიჯანის სსრ სოფელ კურდამიდან ჩერემოვასა და ახუნდოვის მიერ სარეალიზაციოდ ჩამოტანილი ნესვის ნიმუშებში ნიტრატების შემცველობა კილოგრამში 116-146 მილიგრამი იყო, მაშინ, როდესაც დასაშვები ნორმა კილოგრამში 90 მილიგრამია.

17 აგვისტოს 26 კომისრის საკოლმეურნეო ბაზარში შამხორიდან (აზერბაიჯანის სსრ) ჯაფაროვის მიერ გასაყიდად ჩამოტანილი ნესვის ნიმუშში ნიტრატის შემცველობა ერთ კილოგრამში 113 მილიგრამი გამოვლინდა. საბურთალოს რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ალბორამიდან (აზერბაიჯანის სსრ) მელიქოვის მიერ ჩამოტანილი ნესვის ნიმუშში ნიტრატების შემცველობა ნორმაზე სამჯერ მეტი აღმოჩნდა — კილოგრამში 319 მილიგრამი.

გამოვლენილი დარღვევების გამო, შესაბამისი ბაზრების ადმინისტრაციასა და მაღაზიის დირექტორებს დაევალათ: აეკრძალოთ იმ პირებისათვის საზამთროსა და ნესვის გაყიდვა, რომელთა პროდუქტებშიც ნიტრატების დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობაა გამოვლენილი.

ბაღჩეულის შემოწმება მიმდინარეობს და შესაბამის ინფორმაციას კვლავ მოგაწვდით.

კარგი იქნება ქალაქის სანიტარიულმა სამსახურებმა შემოწმების არე უფრო გააფართოოს, გამოიკვლიოს ნიტრატების შემცველობის თვალსაზრისით ის ბაღჩეულიც, რომელიც ცეკავშირის მაღაზიებში იყიდება.

კარიკატურისტის ფანჯრით

მ. აბაშიძის ნახატი.

პარტიული ცხოვრება: განვახორციელოთ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებანი!

მიმდინარე საუკუნის მესამე ათწლეულის ბოლოს წითელწყაროს რაიონში მირზაანის ნავთობსარეწი ამოქმედდა და ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ნავთობის მოპოვებას. პირველ წელს თერთმეტი ჭაბურღილი მუშაობდა და 248 ტონა ნავთობი ამოიღეს. შემდეგში კი ქართველი მენავთობეები მოძმე რესპუბლიკელი კოლეგების დახმარებით ...

... ას, გაერთიანების გეოლოგიური განყოფილების უფროსს ა. თაყაიშვილს, ნავთობ-გაზმომპოვებელი გამსხვილებული სარეწის მთავარ ინჟინერს, ნ. ზაზუნაშვილს.

მათ გავაცანი მოკვლეული მასალები: შარშანწინ 1 აგვისტოს პარტიის წითელწყაროს რაიკომმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ — „...რაიკომის ბიურო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ...

... რტიულ კრებებზე სათანადო სიმწვავით არ განიხილავენ საწარმოო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო მიღებულ დადგენილებებს სისტემატურად არ ამოწმებენ.

ამის შესახებ ვესაუბრეთ პარტორგანიზაციის მდივანს მ. გონაშვილს. მან მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და თქვა: რა ვქნათ, ასეა. ხელმძღვანელი ხელმძღვანელია, ძალა აღმართს ხნავსო.

— თქვენ რომ ასე ფიქრობთ და ამბობთ, რიგითი კომუნისტები ალბათ საერთოდ არ იღებენ ხმას, არა? — ვეკითხებით მდივანს.

— ალბათ, ასეა.

— რატომ ასე, მესამე წელია მთელ ქვეყანაში გარდაქმნის, საჯაროობის ნიშნით მიმდინარეობს მუშაობა. თქვენთან გარდაქმნაზე სერიოზულად არ ფიქრობენ?

— როგორ არა. გარდაქმნის შედეგია, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი უბანი გეგმებს ასრულებს, — მიპასუხა მდივანმა.

— გეგმებს ვაივაგლახით ასრულებთ, მაგრამ სარეწი უბანი კვლავ არარენტაბელურია.

... ტარიბანაში სამი ასევე ღრმა ჭის ბურღვის შესახებ და ვკითხე, რამდენი დაიხარჯა-მეთქი: ტარიბანაში პირველი ჭაბურღილის გაბურღვის დროს ავარია მოხდა და თავი მივანებეთ, მეორეზეც ავარიის გამო შევაჩერეთ ბურღვა, ხოლო მესამე ჭაბურღილის დამთავრების შემდეგ იქიდან ნავთობის ნაცვლად წყალი ამოვიდაო, მიპასუხეს.

— კი მაგრამ რა დაჯდა ეს სამი ჭაბურღილი?

— თოთხმეტ მილიონამდე მანეთი.

— კი მაგრამ წყალში გადაყრილი მილიონებისათვის არავინ აგებს პასუხს?

მათ თითქმის ერთნაირად გაიღიმეს, გაკვირვებით შემომხედეს და, შეფიქრიანება რომ შემატყვეს, უემოციოდ განმიმარტეს: ეს არაფერია, ნავთობსაძიებო საქმეში მილიონებს მნიშვნელობა არა აქვს, საკავშირო სამინისტროსათვის ეს თანხა ზღვაში წვეთიაო.

გაერთიანების მთავარ ინჟინერს ვ. ჩერნოვსა და სხვებსაც მორიდებით ვუთხარი — იქნებ უკეთესი იყოს ამ რეგიონში ჯერჯერობით შეწყდეს საძიებო ღრმა ბურღვა და არარენტაბელური სარეწი კოოპერატივად გადავაკეთოთ-მეთქი. მთავარი ინჟინრის გარდა ყველა წინააღმდეგია კოოპერატივისაც და არენდული იჯარისაც. მთავარმა ინჟინერმა კი თქვა, რომ შესაძლებელია სარეწებმა არენდული იჯარით მუშაობის შედეგად თავი დააღწიოს არარენტაბელობას. ამიტომაც მოდით და ვცადოთ, შევქმნათ არენდული ბრიგადებიო.

მაგრამ როგორც კოოპერატივის, აგრეთვე არენდული ბრიგადების ჩამოყალიბების კატეგორიული წინააღმდეგია მირზაანის ნავთობმომპოვებლის მეორე უბნის უფროსი ი. ჭიჭიკაშვილი. ვერ დავადგინეთ რატომ, მაგრამ საუბრის ტონზე ეტყობა, რომ ისიც ამბიციურად არის განწყობილი. არადა, ასეთი განწყობის საბაბი მას არ უნდა ჰქონდეს, რადგან სარეწი არარენტაბელურია, შარშან ნავთობის ამოღების დავალება ვერ შესრულდა, მირზაანელებმა 500 ტონაზე მეტი სათბობი დააკლეს ქვეყანას. წლეულს კი წლის პირველ ნახევარში გეგმას მხოლოდ 6 ტონა ...

მართლაც ზღვაში წვეთია მილიონები?

ასე რად არ ფიქრობენ მუშაობის გარდაქმნას ჩამოუყალიბებელი მენავთობეები და რატომ არიან სამისოდ იქაური კომუნისტები?

— სწორია, — ადასტურებს მდივანი.

— მერე, რას ფიქრობენ თქვენი კომუნისტები, რას ფიქრობთ პირადად თქვენ? თუმცა ხომ ალიარეთ — ხელმძღვანელი ხელმძღვანელია, მე განთავისუფლებული ...

... რისა არიან ხელმძღვანელებიც, რომლებსაც ვესაუბრე. მაშინ მათ შევახსენე ოთხი-ხუთი წლის წინ ...

ვ. გოზალიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ანგარიშგება-არჩევნები: სტრიქონები კომუნისტთა გამოსვლებიდან

სანამ გაგრძელდება ასე?

უკვე მერამდენე წელია კოლმეურნეობაში მახობრივად ვავრცელებთ ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის დრამატული თეატრის აბონემენტებს. ჩვენ ქალაქში სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრების შესაძლებლობა არა გვაქვს, ხოლო თეატრის კოლექტივი გასვლითი წარმოდგენების ჩატარებაზე ფიქრით თავს არ იწუხებს. ასე რომ, კოლმეურნეებს ყოველწლიურად რჩებათ გამოუყენებელი აბონემენტები, თეატრს კი — მუქთი ფული. სანამ შეიძლება ასე გაგრძელდეს?

კიდევ ერთი საკითხი: 1987 წელს კოლმეურნეობის სახსრებით სოფელში აშენდა 100-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური, რომლის მუშაობის ხანგრძლივობა მხოლოდ ერთი კვირით განისაზღვრა. ჭვერ უკვე ერთი წელია სადგური დუმს. გამჭითხავი კი არავინაა. არის მხოლოდ დაპირებები. როდემდის?

ნ. გაბუნია,
ზუგდიდის რაიონის შამგონის კოლმეურნეობის საამქრო პარტორგანიზაციის მდივანი.

შეფობის სტატუსი უნდა დაიხვეწოს

...

მ. ფარცვანია,
ხობის რაიონის ხამისქურის კოლმეურნეობის წევრი.

კურორტები: მომსახურება

... ლი, სანატორიუმი და ტურისტული ბაზაა, მათ შორის პანსიონატი „გუდაუთა“ ერთ-ერთი მოწინავეა. მისი თავკაცი ანატოლი კაპბა, როგორც იტყვიან, საქმეს გადაგებული ადამიანია. აქ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 400 კაცი ისვენებს ერთდროულად და, მოგეხსენებათ, მათი გუნება-განწყობილების გათ- ...

... ლია მეორე კორპუსის მშენებლობა, რომელიც დამატებით 300 დამსვენებლისთვისაა გათვალისწინებული.

დირექტორის საზრუნავია ეკოლოგიური საკითხებიც. სწორედ მან მრავალი დაბრკოლება გადალახა ფინური საქვაბის შესაძენად, რომელიც სრულიად გამორიცხავს გარემოს გაჭუჭყიანებას ...

რა უჭირს დამსვენებელს?

- კურორტი საკმარისად არ მარაგდება ხილბოსტნეულით
- დღის წესრიგშია დამსვენებელთა გამგზავრება
- პანსიონატ „გუდაუთით“ კმაყოფილნი არიან
- შეიქმნება ფირმა „დასვენება“

... ებელია დამსვენებელთა ხილბოსტნეულით მომარაგების საქმე. იმ დღეს გუდაუთის „ხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიებში სანთლით რომ გეძებათ, ვერსად ვერ მიაგნებდით მწვანილს, ციტრუსა და პამიდორს, ხილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ერთადერთი, რითაც მაღაზიები ვაჭრობდნენ, ეს იყო კარტოფილი, ხახვი და საზამთრო, ისიც არა ყველა მაღაზიაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ სანიტარიული წესრიგის მხრივ არც- ...

... განიზაციებიც — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებისა და სოხუმის აეროპორტის ხელმძღვანელობა.

წყლის ნაკლებობას დღეს, როგორც ყველგან, გუდაუთელებიც განიცდიან. ამიტომ აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობა, რომელიც სულ მალე დამთავრდება და ამით სასმელი წყლის პრობლემაც გადაიჭრება.

გუდაუთის რაიონში მრავალი შესანიშნავი დასასვენებელი სახ- ...

... ვალისწინება არც ისე ადვილი საქმეა. თუმცა, დამსვენებლებთან გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ ამ მხრივ საქმე მოწესრიგებულია, ისინი კმაყოფილნი არიან როგორც აქაური კვებით, ისე დასვენებით და მომსახურებით. პანსიონატს აქვს თავისი საცურაო აუზი, ცხელი წყალი, მალე ექნებათ საკუთარი საუნა. ასე რომ, მათთვის აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი. აქვე უკვე დაწყებუ- ...

... გამონაბოლქვებით. პანსიონატში ამ მხრივ სხვებთან შედარებით კარგი მდგომარეობაა.

ა. კაპბას ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვს. ერთ-ერთის განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯი, შეიძლება ითქვას, უკვე გადადგმულია. საკავშირო დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ გენერალურ დირექტორთან, აკადემიკოს ს. ფიოდოროვთან ერთად გადაწყვეტილი აქვს წილობრივი მონაწილეობით 30-ადგილიანი კორპუსის აშენება, რაც ხელსაყრელი იქნება როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის. აღნიშნული კომპლექსის სპეციალისტებს წლის ყოველ დროს ზღვაზე დასვენების საშუალება ექნებათ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პარალელურად რესპუბლიკის მოსახლეობასაც მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას გაუწევენ, რაც გარკვეულწილად განტვირთავს მოსკოვში ს. ფიოდოროვის კლინიკაში ჩვენგან წასულ ავადმყოფთა კონტინგენტს.

ამ ბოლო დროს, როგორც ჩვენთან საუბარში განაცხადა გუდაუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ იგორ ლაკობამ, მართლაც ბევრი რამ გაუკეთებიათ დამსვენებელთა კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ყოველივე ეს, მისი თქმით, თვითკმაყოფილების საბაბს მაინც არ იძლევა, ამიტომ ყველაფერს ღონობენ მომავლისათვის აღნიშნული სფეროს საქმიანობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

მაისიდან გუდაუთელები მეზობლების, ქალაქ გაგრის ზონის საყოველთაოდ ცნობილი მეთოდით ფირმა „დასვენების“ შექმნას აპირებენ. მართალია, ეს მომავლის პერსპექტივაა, მაგრამ მისმა განხორციელებამ, მასპინძლის აზრით, კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ამ მართლაც შესანიშნავი საკურორტო ზონის სოციალურ-კულტურულ განვითარებას.

თ. კინწურაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კოოპერატივი

„ჰერეთი“ — ჯანმრთელობის კერა

ორი წლის წინათ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჰერეთის კარის ალაზნისპირა ჭალის ახლოს გეოლოგიური ძიების დროს 2200 მეტრი სიღრმიდან თბილმა წყალმა ამოხეთქა. ...

... ქციისაა და ქიმიური ბუნებით ქლორიდულ, კალციუმიან-ნატრიუმიანია და მიეკუთვნება აზოტ-მეთანიანი წყლების ჯგუფს. მისი ტემპერატურა პლუს 88 გრადუსია ...

... საავადმყოფოს ქირურგმა დემურ ბოჯორიშვილმა თქვა:

შეიდ თვეში ავაშენეთ ეს კეთილმოწყობილი სააბაზანო, რომელიც დღეში 200 პაციენტს მოემსახურება. ...

... რიული ნერვული სისტემის დაავადებებზე, კურნავს პოლიართრიტულ-რევმატული წარმოშობის მარილების დაგროვებას. სააბაზანო პროცედურა 10-20 წუთს გრძელდება. ავადმყოფი წელიწადში ერთხელ 15 აბაზანას მიიღებს. საჭიროების შემთხვევაში მეორე წელსაც შეიძლება დაენიშნოს აბაზანების მიღება.

... პაციენტმა, სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახემ შოთა შეყელაძემ თქვა, რომ მეტად ნასიამოვნებია სუფთა, კეთილმოწყობილი სააბაზანოებითა და მედიკოსთა მომსახურებით.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივში გაერთიანებულ მედიცინის მუშაკების ...

ვფიქრობთ, „ჰერეთს“ მალე ბევრი ავადმყოფი მიაკითხავს, რადგან იქ, მართლაც, მკურნალობის კარგი პირობებია.

ზ. ვახტანგაძე.

უცხოეთში

საქდესი იუწყება 27 აგვისტო

მშვიდობის სახელით

„დეილი ტელეგრაფი“ მშვიდობის ნობელის პრემიის შესახებ

ლონდონი. გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ გამოაქვეყნა ოსლოდან გადმოცემული სტატია, რომელშიც ნათქვამია: მიხეილ გორბაჩოვი და პრეზიდენტი რეიგანი, როგორც ჩანს, მიიღებენ წლევანდელ მშვიდობის ნობელის პრემიას, რაც მათი ახალი შეხვედრის შესაძლებლობას შექმნის დეკემბერში, ოსლოში დაჯილდოების ცერემონიაზე.

ნორვეგიის პარლამენტის წევრები და უცხოელი დიპლომატები ოსლოში ამბობენ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი და რეიგანი პრეტენდენტთა სიაში პირველები არიან ...

... გამო.

ამჟამად გორბაჩოვი და რეიგანი „მთავარი პრეტენდენტები“ არიან, განაცხადა მშვიდობის ნობელის პრემიის მიმკუთვნებელ კომიტეტთან დაახლოებულმა ნორვეგიელმა წარმომადგენელმა.

მშვიდობის პრემია, რომელიც ერთ-ერთია ნობელის ექვს პრემიათაგან, გაიცემა ოსლოში, ...

... დებულების პირობების თანახმად, წლეულს პრემიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ 1 თებერვლისათვის დასახელებულ კანდიდატებს.

ზესახელმწიფოების ხელმძღვანელები ერთობლივად დაასახელეს ნობელის პრემიის კანდიდატებად მაშინვე, როგორც კი მათ ხელი მოაწერეს ვაშინგტონში 1987 წლის 8 დეკემბერს შუალედური სიშორის ბირთვული ძალების შემცირების შესახებ ხელშეკრულებას.

დეკემბერში რეიგანი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იქნება, ვინაიდან ახალი პრეზიდენტი, რომელსაც ნოემბერში აირჩევენ, ...

მხატვრის კომენტარი

„ძნელია მშვიდობის გზა, მაგრამ საყოველთაო განიარაღებას ალტერნატივა არა აქვს. ეს კარგად ესმის პლანეტის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს“. (გაზეთებიდან).

ასე წარმოუდგენია გამარჯვებული შეიარაღების გარდაუვალი ლოგიკური დასასრული ავსტრალიური გაზეთის „გარდიანის“ მხატვარს. ნაგვის ყუთზე, სადაც ჩაყრილია კაცობრიობისათვის საძულველი ბომბები და რაკეტები, წარწერილია: „მოიქეცით სამართლიანად“.

● ირან-ერაყი

რთული მოლაპარაკება

...

ამერიკა არჩევნების წინ

მსხვილი კაპიტალის პოზიცია

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების „დიდი ბიზნესი“ მიმდინარე წლის ნოემბერში პრეზიდენტის არჩევნებში მთლიანად უჭერს მხარს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს, ახლანდელ ვიცე-პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს. ამას მოწმობს წინასაარჩევნო გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოაწყო გავლენიანმა ჟურნალმა „ფორჩუნმა“ და სი-ენ-ენ ტელეკომპანიის ფინანსური ახალი ამბების სამსახურმა ქვეყნის 200-ზე მეტი უდიდესი კომპანიის ხელმძღვანელთა შორის.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბიზნესმენთა 86 პროცენტს სურს ბუში ამერიკის შემდეგ პრეზიდენტად იხილოს, თუმცა არჩევნებში მისი გამარჯვების რეალობა მხოლოდ გამოკითხულთა ნახევარს სჯერა. გამოკითხვის მონაწილეთა 33 პროცენტს სარწმუნოდ მიაჩნია, რომ ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვებს ბუშის მეტოქე, დემოკრატთა კანდიდატი მაიკლ დუკაკისი. მათ შორის თავისი სიმპათიები მის მიმართ გამოხატა კორპორაციათა მეთაურების მხოლოდ 7 პროცენტმა.

განმარტა რა გამოკვლევის შედეგები, „ფორჩუნმა“ აღნიშნა, რომ ამერიკის „დიდი ბიზნესი მხარს უჭერს ბუშს იმ იმედით, რომ იგი განაგრძობს პრეზიდენტ რეიგანის პოლიტიკას და მათ სხვადასხვა შეღავათს მისცემს“.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აქ გამართულ სხდომაზე განიხილა, თუ როგორ მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი მეათე პლენუმისათვის მზადება. განიხილეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადების მიმდინარეობა, რომელიც სახავს სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განვითარებას.

● **დარ-ეს-სალამი.** ბურუნდის მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს, რათა ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში აღადგინოს წესრიგი ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარ სისხლიან შეტაკებათა შე- ...

... პლთა რიცხვი 5000 კაცს უნდა სჭარბობდეს.

● **პნომპენი.** საკავშირო პროფსაბჭომ კამპუჩიის პროფკავშირთა ფედერაციას ძღვნად გადასცა მსუბუქი ავტომანქანები, მიკროავტობუსები, მოპედები, რადიომიმღებები, საკანცელარიო ნივთები. ამ შემთხვევის გამო გამართულ ცერემონიაზე აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის პროფკავშირებისა და ხალხების ურთიერთობა განუხრელად ვითარდება, და საკავშირო პროფსაბჭოს ძღვენი წვლილს შემატებს ამ პროცესს.

● ბირმა

საყოველთაო გაფიცვა

...

... ნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ბელადის აუნ სანის ქალიშვილმა სულ ჯიმ განაცხადა, რომ მხოლოდ მაუნგ მაუნგის მთავრობის დაუყოვნებლივ დათხოვნა ააცილებს ქვეყანას თავიდან ანარქიასა და სისხლისღვრას. სულ ჯიმ არმიას მოუწოდა მხარი დაუჭიროს ხალხს.

კოლიზიური ქრონიკა

რეკორდული პროცესი

ნიუ-იორკი. ოცდაორ თვეს და ოთხ დღეს გრძელდებოდა ქალაქ ნიუარკში 20 მაფიოზის საქმის სასამართლო გარჩევა. დამთავრდა მხარეთა მიერ პოზიციების წარდგენა, რომელიც ხანგრძლივობით რეკორდული გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესებისათვის. ხუთშაბათს თავისი სხდომა დაიწყო ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ, რომელიც განსაზღვრავს ბრალდებულთა დანაშაულს ან უდანაშაულობას. ნიუარკის პროცესი ყურადღებას მარტო ხანგრძლივობით როდი იპყრობს. საქმეშია სასამართლოსათვის 89 მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებათა და ადვოკატებისა და პროკურორის გამოსვლების 40 ათასი ფურცელი, აგრეთვე 85 ნივთიერი მტკიცება. წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ხანგრძლივ სასამართლო პროცესად ითვლებოდა 18 განგსტერის სასამართლო, რომელიც დამთავრდა მიმდინარე წლის მარტში. იგი 17 თვეს გრძელდებოდა.

ლიბანი: ისრაელთა თავდასხმები

სურათზე: ისრაელი დამსჯელი აპატიმრებს პალესტინელ ქალს ცრემლსადენი გაზის გამოყენებით.

რეიტერ-საქდესის ფოტო.

ბეირუთი. ლიბანის დედაქალაქსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში ეროვნულ პატრიოტული ძალების მოწოდებით მიმდინარეობს ერთი დღის გაფიცვა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი ერევიან ქვეყნის საშინაო საქმეებში ...

შემდეგ ნაპირს მოადგნენ ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების კატარღები. მათ ცეცხლი დაუშინეს ზღვაში გასულ მეზადურებს და სანაპიროს დასახლებულ პუნქტებს. ქალაქ ტირის რაიონში კატარღებმა ცეცხლი დაუშინეს ...

... ათი და ხუთი „მერკავას“ ტანკი. დაბა ბარაშიტის მახლობლად ლიბანელი პარტიზანები განვლილი დღე-ღამის განმავლობაში ცეცხლს უშენდნენ მარიონეტულ „სამხრეთ ლიბანის არმიის“ პოზიციებს.

გზა ხსნის საზღვარს

მთავრდება სსრ კავშირ-თურქეთის საავტომობილო გზის ამოქმედების მოსამზადებელი სამუშაოები. ეს გზა გაივლის საზღვრისპირა სოფელ სარფში. აქ იხსნება საკონტროლო-გამშვები პუნქტი და საბაჟო.

31 აგვისტოსათვის დანიშნულ საერთაშორისო ავტომაგისტრალის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა გახსნის ცერემონიაზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ო. ჭ. ჩერქეზიას განემარტა ორი ქვეყნის ცხოვრებაში ეს მნიშვნელოვანი მოვლენა.

— **საბჭოთა** კავშირსა და თურქეთს შორის პირდაპირი საავტომობილო მიმოსვლის იდეა დღეს როდი იშვა, — თქვა ო. ჭ. ჩერქეზიამ. — ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მიერ ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად დაიწყო სარფის გავლით შემაერთებელი გზის მშენებლობა. სამწუხაროდ, იგი შენდებოდა წყვეტილებით, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით.

მოხარული ვართ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ იდეას რეალურად შეესხა ხორცი და ეს ფაქტი მიგვაჩნია საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობაში ახალი აზროვნების გამარჯვებად, ნდობისა და ურთიერთგაგების გამოვლინებად.

გარდაქმნამ, რომელიც მიმდინარეობს საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, დასაბამი მისცა იმის შესაძლებლობას, რომ სხვებთან ერთად ჩვენმა რესპუბლიკამაც დაამყაროს პირდაპირი ურთიერთობა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, კერძოდ, თურქეთის ფირმებთანაც. სხვათა შორის, მათთან თანამშრომლობის გამოცდილება გვაქვს. შარშან, მაგალითად, თურქეთმა საქართველოში იყიდა ჩაის ფაბრიკებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა. მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქეთში ხორცისა და პირუტყვის შესყიდვის შესახებ. თურქეთის ფირმები საქართველოში აამენებენ სასტუმრო მეურნეობის მთელ რიგ ობიექტებს. ასეთი თანამშრომლობა საავტომობილო მიმოსვლის გახსნის შემდეგ მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს და გააიაფებს ორივე მხარისათვის საქონლის მიწოდებას. შეიქმნება ფართო შესაძლებლობანი ინტენსიური საზღვრისპირა და სანაპირო ვაჭრობის მოგვარებისათვის. საქართველოს ხომ თურქეთის რესპუბლიკასთან საერთო სახმელეთო და საზღვაო საზღვრები აქვს.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ტრასის გახსნის დღეს მოსალოდნელია ბათუმში ათობით თურქი ბიზნესმენის ჩამოსვლა. მათ მოლაპარაკება ექნებათ საბჭოთა სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, რომლის დროს განისაზღვრება ეკონომიკისა და ვაჭრობის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის კონკრეტული გზები. ჩვენ მზად ვართ თურქ ბიზნესმენებს შევთავაზოთ რამდენიმე ათასი დასახელების საქონელი, შევქმნათ შერეული საწარმოები და ფირმები.

საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის პირდაპირი საავტომობილო მიმოსვლის შესახებ ანკარაში ხელმოწერილი სამთავრობათშორისო შეთანხმების შესაბამისად გათვალისწინებულია საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელოვანი გაფართოება. კერძოდ, დაგეგმილია ტურისტული კრუიზის მოწყობა შავ ზღვაზე, თურქეთის ტურისტთა მოგზაურობა ამიერკავკასიის გავლით შუა აზიასა და ციმბირში, აგრეთვე სკანდინავიაში, ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ამ სახელმწიფოების ტურისტთა შემხვედრი ნაკადი გაემართება თურქეთში, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ნავარაუდევია ანალოგიური სატრანზიტო ტვირთზიდვა.

და კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალი: თურქეთში საკურორტო სეზონი სექტემბერში ნელდება. ჩვენში კი იგი გრძელდება პრაქტიკულად ნოემბრის შუა რიცხვებამდე, ზოგჯერ — მეტ ხანსაც. ამრიგად, ჩვენს მეზობლებს, მათი მეშვეობით კი სხვა ქვეყნების მცხოვრებლებსაც, მიეცემათ შესაძლებლობა უმოკლესი გზით მოხვდნენ საქართველოს კურორტებში. ცხადია, რომ ეს ხელსაყრელი იქნება ორივე ქვეყნისათვის.

რა თქმა უნდა, სატრანსპორტო მიმოსვლის დაწყების შემდეგ ვაჭრობისა და ტურიზმის გარდა, გამოცოცხლდება მომსახურების სფეროც. დროთა განმავლობაში ტრასის გაყოლებით შეიქმნება სასტუმროები და მოტოოტელები, რესტორნები და კაფეები, ავტომობილების მომსახურების სახელოსნოები, სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები.

და კიდევ: პირველად მრავალი წლის განმავლობაში დაუკავშირდება ერთმანეთს სოფელ სარფის ორივე ნაწილი — საბჭოთა და თურქული. მათი მცხოვრებლები შეძლებენ ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას. მათ შორის ხომ ბევრია ნათესავი როგორც თურქეთში, ისე ჩვენთანაც. ახლა ერთმანეთი რომ მოინახულონ, მათ აღარ მოუწევთ შემოვლითი გზით გაიარონ ათასობით კილომეტრი.

ახალ საერთაშორისო ავტომაგისტრალს, სახელმწიფოთა შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ავტოტრასა პირველად პირდაპირ დაუკავშირებს ნატოს ქვეყანას ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ ქვეყანას. და ეს დროის ნიშანი, ახალი აზროვნების შედეგია. (საქინფორმი).

ახალი ლექსები

პოეტური ზაფხული

რევაზ ასაევი

სიყვარულს ვთესავ

ჩემო მკითხველო, მე ჯოხზავ ამ ლექსებს
ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე.
საიათ-ნოვად არვინ მახსენებს,
მე ვარ პატარა ერის მელექსე.

ო, რა ძნელია ლექსის დაწერა, —
სიტყვების თესვა, სიკეთის თესვა!
რადგან მარგუნა ეს ბედისწერამ,
მე მის სიტკბოს და სიმწარეს შევსვამ.

ლექსების წერა ძნელია, მძიმე, —
შვილივით მიყვარს ყოველი ლექსი.
ადგილს თუ ნახავ, წერტილს თუ მძიმეს,
იხარებს შენი მარცვლების თესლი!

ო, რა ძნელია ლექსების წერა!
ბრძოლა ხომ არის ცხოვრება თვითაც.
თუ გული გულობს — რა უნდა მღერას, —
შენ მოკრეფ ვარსკვლავს კაშკაშა ციდან!

საიათ-ნოვა არ მქვია, ხალხო, —
იმ სამ ენაზე ლაღად რომ მღერის
ნეტავ მეც მქონდეს ისეთი ალღო,
ვადიდო მისებრ მეც ჩემი ერი!

მე მიწას არ ვხნავ, არ ვთესავ მარცვლებს,
მე ვთესავ სიტყვებს, სიყვარულს ვთესავ.
მე ამის ძალა რა ღმერთმაც მომცა,
ვლოცულობ იმას, მკითხველო, დღესა!

* ლექსი დაწერილია ქართულად.

აკაკი გელოვანი

ლემშვენიერა

„ლემშვენიერას" — მშვენიერ სვანეთს — ძველ სიმღერებში „ლომის ბედნიერ ხეობას" უწოდებენ.

ბეთქილი

ულდვზე ფეხს ვერ იკიდებდი,
ბაილ ბეთქილ, ილბა ბაილ! —
ფიანდაზად გადაშლილა
სამმო გზაზე მშვიდობაი.

სამთის ფერხულს აზალებდი —
ალაღებდი ფალის მზერას;
ჯიხვთა რქების ჯახანშიაც
ჭიუხები დაგიხერავს.

შენთა შვილთა შემართებას
შესცქერიან ალტაცებით —
სამთის ფერხულს დაუვლიან
შულახელი ვაჟკაცები.
დალმა იცის ყველაფერი,
შუქი ხომ არ იმარხება! —
ნეტავ, შოთას ხელნაწერი
რომელ კოშკში ინახება?

ციურ ჩანგზე აწყობილა
შენი ენის დიდებაი;
იალაღებს ეფინება
ლილეო და ბილებაი...,
ბაილ ილბა, შერო ბეთქილ,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ!

სადაც იქნება...

სამხრეთის საზღვარს,
სისხლით დანამულს,
უბედურება ახსოვს მრავალი;
მშენებლის ხელით ბაღად ქცეულა
საკაძის და საბას ნავალი.

მხარეს ატყვია მზრუნველი ხელი.
ტკას გალავანი, ვითარცა ხალი,
აქაც იმრავლონ! საქართველოა
ყველგან, სადაც კი იქნება სვანი.

მაშ ეს კოშკები ვინ აუშენა,
ვინ დაუმშვენა ლაგვირკას ძელი?
ყველგან იყო და იქნება მარად
სვანი სამშობლოს ერთგული
მცველი!

ცოცხლობდეს ლომთა ხეობა!

„სამშობლოს ზედა სართული,
მუდამ ჩვენთანა მყოფელი,
სულისკვეთება ქართული —
ძმობა, სიკეთე ყოველი,
სტუმართმოყვრობა განთქმული
და მისწრაფება ცხოველი
ცოცხლობდეს! — ყივის
ზღაპრული
არწივი, ცათა მპყრობელი. —
და იყოს სვებედნიერი
ქართველთა ტომთა მხნეობა!
ცოცხლობდეს ლემშვენიერი —
ბედნიერ ლომთა ხეობა!"

ჯიხვის რქაზე მინაწერი ლექსი

ლაგვირკაშია ძელი ცხოველი,
თითქოს აქვეა შეცის სამანი,
მაგრამ გრძელია წუთისოფელი,
უსასრულოა სვანის სავალი.

ჯიხვის რქაშია ცვარი ციური,
და მისი მადლი არ დაილევა;
გიზგიზებს ცეცხლი ოლიმპიური
და ფუტუროზე არ გაიცვლება.

მეთხელებულა კალა, უშგული —
საჯიხვეშია მათი სამანი...
გამოვლილია ყველა უფსკრული,
უსასრულოა სვანთა სავალი.

ხხვა ათასწლეული ახლა იწყება.
ციურ გზაზეა გმირთა საძვალე.
სვანთა სავანე არ დაილევა,
რადგან ერთია სვანთა სავანე.

გიორგი წერეთელი

დიდება შენდა, თავთავო!

ო დ ა

დიდება შენდა, თავთავო,
პურო არსებავ კაცის!
შენს მარცვალს ვინც არ
ალმერთებს
მის ბელელს ვჩედავ დაცლილს.

სიცოცხლით სავსე თავთავო
ქვეყანა ჰქვია შენს ყანას,
ცალ ფეხზე დგახარ, ორ ფეხზე
რომ დააყენო ქვეყანა.

ცოდო, მაგრამ ძვირფასო,
შენთვის ვარ ახოს მტეხელი,
ის მდიდარ კაცად ითვლება,
ვისაც აქვს სავსე ბელელი.

ხარ უკვდავების წამალი
შენ ჩემო პურის მარცვალო,
ოუმც გქვია ოქროს თავთავი,
ოქროზე როგორ გაგცვალო.

მე შენი დამის მეხრე ვარ,
გუთნის დედა ვარ მე შენი,
უწყლოდ გავძლებ და, უპუროდ
მომაკვდავს, ისევ შენ მშველი.

დიდება იმ კაცს, თავთავო,
ვინც შენს ფესვს ოფლი ანამა,
ჩვენ მოგვიყვანა აქამდე
შენმა შრიალა ყანამა,

მე ვენაცვალე იმ კაცსა
ვინც შენთვის ხედნა ხარები,
ხანამდე მიწა გაცვეთდა,
რკინა გაცვითა ხმარებით.

მაგ შენი ფუნჯით გლეხკაცი
გვიხატავს დედამხარესა,
და პურის ცომით დიაცი
გვიცხობს ცხელ მზეს და
მთვარესა.

პურო, ფარი და ხმალი ხარ
ნაწრთობი ცეცხლის ლავაში,
თონის ქარქაშში აგიხარ
სიკვდილის მკვლელი ლავაში.

ლხინს პურის ჭამას ვეძახით
მასპინძელიც და სტუმარიც,
ძუნწს ეძახიან პურაძვირს,
გულუხვს უქებენ პურმარილს.

პურს თვით სიცოცხლის ფასი
აქვს,
სულისდგმა არის ხორცისა,
პურით იხდიან: ჭირის დღეს,
ლხინის დღესა და ქორწილსა.

პურის ბელელის მფლობელი
მთხოვარს არ ეტყვის უარსა,
პურსა და მარილს მოგართმევს
ხალმამდე, მოსულ სტუმარსა.

ვინც პურის ნამცეცს არ ლოცავს,
მის ბელელს ვჩედავ დაცლილსა,
დიდება შენდა თავთავო
პურო, არსებავ კაცისა!

ივანე თარბა

სიმღერა უხმობს სიმღერას

მე მუდამ მზად ვარ, რაღაც მიზიდავს,
ნაბიჯი ჩემი გულის ჩქამს უბმის,
გადაულილ ზღვიდან, ციდან, მიწიდან
მიალერსებენ სხვადასხვა ხმები.
ძლივს, მაგრამ მაინც სადღაც შორით
ქალის მჟღერი სიმღერა მესმის
და აფხიარცა სიმების თრთოლვით
ვილაცის ხელში საამოდ კვნესის.
მწყემსის სიმღერა ჩამესმის ტკბილი,
როცა ბალახობს ნახირი მისი;
ციდან არწივის ყამყამში ისმის
და მთაზე რჩება ვეება ჩრდილი.
მექორწილეთა ისმის ხმაური,
სიმღერა — ლაღი, ხმაშეწყობილი.
ვერა, გულცივად გვერდს ვერ ჩაუვლი,
გინდ მტერი იყავ, გინდა ძმობილი.
ღამის უკუნში ნამღერი ნაზად
სიწუმეს არღვევს ხმა იავნანის,
ამ ხმაზე არვინ შემკრთალა არსად,
აკვანში ჩვილმა მილულა თვალი.
იქ, სადაც ხალხი ფუსფუსებს გამრჯე,
სჭექს ვაჟკაცური სიმღერა მეხად,
ვიღაცა ალებს დილიდან ფანჯრებს,
რომ შიგ ჩიტივით შეფრინდეს ეს ხმა.
სიმღერას ამბობს გზად მიმავალი,
სევდას უქარვებს და გულს უდინჯებს.
გვერდზე სიმღერა ფრთებს შლის მრავალი
ადექ და ყველას ფეხა გაუსინჯე!
სიმღერა სწვდება კიდიდან კიდეს,
ყველგან ალერსად, სიმხნედ წასული,
ერთი სიმღერა მეორეს მისდევს,
ჩანს, არ ექნება მათ დასასრული.
მე მუდამ ვეძებ სიმღერას ხმიანს,
ზედ მხედარივით ფიქრი რომ შევსვა;
ყველა ლექსს ჩემსას სიმღერა ჰქვია,
ყველა სიმღერა იკვრება ლექსად.
ჩემს გულს მრავალი სიმღერა სტკივა,
ბევრს ვუცდი, ბევრს კი უკვე ვუცადე...
ეს სიმღერები მოდიან მწკრივად
და ჩემი წიგნის გვერდებს ფურცლავენ.

თარგმანი მ. არაბულისა

ზურაბ კუხიანიძე

ოქროს კვერცხივით...

ქარში ხმა უნდა ისმოდეს ბრძოლის,
დღეს მესაფერი დამდგარა ალო
და ძველებური შიშით და თრთოლვით
გულში ნადები არ უნდა ვმალოთ.

ქარში ტრიალებს ათასი კითხვა,
გაბრუებული სიმწრით და ბანგით,
ზოგჯერ სიმართლით ნათქვამი სიტყვა
გვიბრუნდებოდა, ვით ბუმერანგი.

ოჩან ცხენივით უშვერდით ქუქვირს,
ყელს არ ვიღერდით ოცნებით ცისკენ...
დღე დღევანდელი მაქეზებს: „თქვი, თქვი!"..
მეც უთქმელობას თქმას ვარჩევ ისე.

ძლიერნი ამა ქვეყნისა მუშტით,
კომბლით, ტანტით და შემართულ სკიპტრით
ირიბად გვჭვრეტდნენ თვალებით მუმტრის,
ჭით ღელის ქაფზე ნაფოტის ტივტივს.

თუ გადუხვევდა დინებას ძალით
მავანი, არის საწუხარ ესე,
დეკაბრისტების საძებრად კვალის
გაუყენებდნენ ჩაჩუმქრულ გზებზე.

ვინ გაუთბობდათ ამღვრეულ ამინდს,
ჯანღი მოჰქონდა ქარს ბოლქვა-ბოლქვად
და ვით მამლების ყივილი ღამით
უკან მისდევდათ შვილების მოთქმა.

იყო მერჩეულ ვარსკვლავთა ცვენა,
ფრჩხილებით ხნავდნენ აღმართს და ფერდობს;
და პირმმოსავით ნაზარდი რწმენა
თავქარწყვეტილი ტალახში ეგდო.

გამოეცალა ბევრ ოჯახს ბოძი,
ობლებს შეაცვდათ ოცნება ლაღი
და იზრდებოდნენ სულ ბორძიკ-ბორძიკ
ავბედით წლების დაკრული დაღით.

შიშნაჭამი და კურდღლისებრ ფრთხილი
ჩემი თაობა მალავდა მჯიღებს
და ღამით ვნთქავდით ჯავახიშვილის
და ტიციანის აკრძალულ წიგნებს.

ზოგი ლუკმად ხვდა მგლებსა და დათვებს,
ზოგს ფარავს თეთრი სუდარა თოვლის
და ვით შანდლებზე დაღვენთილ სანთლებს
მათ ხსოვნას ვანთებთ თითების თრთოლვით.

განქარდა, ავად რაც გუშინ ქროდა,
ვით დამწვარ პეპლის მხუბუქი ფერფლი...
ხლართს გაჭრი თუკი მჭრელი გაქვს გორდა,
არადა, მისი გახდები მხევრალი.

განქარდა, მაგრამ ამღვრეულ ტალღას
ვინაც გადურჩა ზრიალით ჩავლილს,
სიზმარში აღარ ასვენებს ახლაც
წარსული წლების აზრდილი შავი.

დღესაც ბევრია საკაფი ბარდი,
არც მშვიდი ძილი შეპფერის ჩვენს დროს.
არ ვთრთოდეთ შიშით საკუთარ ლანდის,
რწმენა რომ ლაფში არასდროს ეგდოს.

ცხოვრება მიდის,
ცხოვრება მიდის
და ისევ იბრძვის შავი და თეთრი;
თუ ვერ გაუძლებ მის გზას და ჭიდილს —
აწყვეტილ ღილის გეწევა ბედი.

სულ სხვა დრო მოდის,
სულ სხვა დრო მოდის
და ითხოვს ახალ და მაღალ აზრებს;
წელში წყდებიან ხიდები ბონდის,
ახალი ქარის გუგუნის ხმაზე.

ეს ქარი შეცვლის ახლანდელ დრო-ჟამს
და ამ იმედით ვინც კი არ ცოცხლობს, —
არ აქვს უფლება სამშობლოს დროშა,
მშობელი მიწა კოცნოს და ლოცოს.

ქვეყნის, ამ ქარის ერთგულმა კაცმა
ბოლომდე უნდა გალეწოს კალო
და გულში ნაღდი სათქმელი რაც გაქვს,
ოქროს კვერცხივით არ უნდა მალო.

ნოდარ ჯალაღონია

ორი ლექსი კრიმინალურ თემაზე

ნარკომანია

I.

თუმც იყო ომი, სისხლი, წამება,
სხვაა ეს დარდი და გაჭირვება,
ფუჭად ილვრება და იწამლება
სისხლი, რომელიც მამულს სჭირდება.

ძველი ტკივილი აღარ გველევა,
მაგრამ ეს არის უფრო საშიში,
როცა ქართველი არაგველებთან.
გაბრუებული მიდის პაშიში.

II.

ის, ვინც დღეს ყიდის მხამს და საწამლავს,
იმის სული და იმის თესლია,
ვინც ქეოვანი მანთით აწამა,
ვინც წვავდა ტაძრებს და ელეხიებს.

ეს ის კაცია (თუმცა სხვა დროა),
ვინც ჰერცხლს გემო და გეში აუღო,
კრწანისთან მეფე ვინც მიატოვა
და მტერს ტბილისის კარი გაუღო.

III.

ის ცდილობს, აღარ გყავდეს, მამულო,
სტუმრის დამხვედრი, ომში წამსვლელი,
რომ ცოტა იყოს საქართველოში
ბიჭები ტანზე თაფლის წამსმელი.

ეს ის კაცია, ჩემო პატრონო,
ჩემო სამშობლოვ, ეს ის კაცია,
ვინც ცდილობს აღარ დარჩეს პატრონი
„ვეფხისტყაოსანს", ჯვარს და ვარძიას.

IV.

— აგერ, ბიჭებო! ოშკი, პარხალი,
მომლოდინე და თქვენი მჭვრეტელი.
თქვენ უნდა გეპყრათ ხელში ფარ-ხმალი,
ფუნჯი, გუთანი და საჭრეთელი.

როცა სვანეთის ცა არის ახლოს,
როცა ახლოა მიწა არმაზის, —
იმ ძალბურანში რა უნდა ნახოთ
საქართველოზე უფრო ლამაზი.

ბავშვების გამყიდველები

სამშობიარო სახლებიდან ზოგიერთი ნაძირალა ადამიანი ბავშვებს ყიდდა.

(გაზეთებიდან)

I.

— უნდა დავამხოთ საქართველო
ისევ ქართველით..,
და მოდიოდნენ ჩვენი მტრები
ამის იმედით.
და ჩვენც გავწირეთ, ჩვენ თვითონვე
ბევრჯერ გავთელეთ,
ბევრჯერ გავყიდეთ საქართველო
და გავიმეტეთ.

თქვენი ყველაზე ულმობელი
მსაჯული დროა.
რა შეიძლება იყოს ცოდვა
ამაზე დიდი!
ბავშვები! — ეს ხომ ხვალინდელი
საქართველოა,
ბავშვებთან ერთად საქართველოს
მომავალს ყიდდით.

II.

— ქართველი უნდა დაითრგუნოს
ისევ ქართველით...
ეს იყო მუდამ საქართველოს
მტრების იმედი.
და ჩვენც ლალატით, ერთმანეთის
აყიდვ-გათელვით, —
იმ დიდგორიდან კრწანისამდე
ასე მივედით.
ვინ იცის, იქნებ იმ ცოდვისთვის
ახლაც ვისჯებით,
ახლაც გვაფრთხილებს ფოთის ციხე
და ანაკლია,
ის, ოსმალეთში გაყიდული
გოგო-ბიჭები,
თქვენ რომ იცოდეთ, საქართველოს
ახლაც აკლია.

„ელესას" უპირველესი გულშემატკივარი ოკეანისგაღმა, ვაშინგტონში საგანგებოდ ჩასული ამერიკული „ქართული ანსამბლი" იყო, გრეგორი სალმონის ხელმძღვანელობით რომ შეიქმნა მინესოტის უნივერსიტეტში. მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც ქართველმა „ბერიკაცებმა" (როგორც სიყვარულით უწოდებს მათ ანზორ ერქომაიშვილი) ვაშინგტონში დაჰყვეს, არ განელებულა დამსწრეთა ინტერესი ქართული ხალხური სიმღერებისადმი. „ქართულმა ანსამბლმა" კი კიდევ რამდენიმე სიმღერა შეისწავლა მათგან და ბოლო კონცერტის დასასრულს ერთად, ორპირულად შეასრულეს „ელესა".

— **მაინც, რა ხდებოდა?**

ამაზე საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ანზორ ერქომაიშვილმა, რომელიც კონსულტანტად ახლდა ჯგუფს, გვიპასუხა:

— ვაშინგტონში მიმდინარეობდა ამერიკული ხალხური ყოფისა და ფოლკლორის ფესტივალი. ასეთი ფესტივალი იქ პირველად 1967 წელს გაიმართა და მიზნად ისახავდა წარმოეჩინა ცხოვრების ის სტილი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებულმა ეთნიკურმა ჯგუფებმა ჩამოიტანეს საკუთარი სამშობლოდან ამერიკაში და ზოგან დღემდე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია — ემიგრანტების უმრავლესობა ისე აითქვიფა ამერიკულ ცხოვრებაში, რომ დაივიწყეს წინაპართა ტრადიციები. თავიდან ამას ადგილობრივი მასშტაბი ჰქონდა. მ ო მ დ ე ვ ნ ო წელს მიუწვევიათ უკვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. იგულისხმება წმინდა ხალხური ფოლკლორი — ყოველგვარი შელამაზებისა და პროფესიონალიზმის გარეშე.

ფესტივალი ეწყობა სმიტსონის ინსტიტუტის მეურვეობით. წელს იგი 21-ე იყო. ეს გახლავთ კერძო დაწესებულება, სმიტსონის ანდერძის თანახმად, მისივე დანაზოგით გაიხსნა მისი სახელობის ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მუზეუმს: ბუნებისმეტყველების, ტექნოლოგიის, ისტორიის, თანამედროვე ხელოვნების, კოსმოსურსა და სხვ.

ამ ფესტივალზე წელს პირველად მიიწვიეს საბჭოთა კავშირი. საქართველოდან ამერიკელებმა სპეციალურად მოითხოვეს ანსამბლი, რომელიც შეასრულებდა სიმღერებს კრიმანჭულით, რაც გამოწვეულია ჯერ სტრავინსკის და შემდგომ სხვა მუსიკოსთა ინტერესით ამ სიმღერებისადმი.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ საამისოდ შეარჩია მახარაძის მომღერალთა ანსამბლი „ელესა". ეს ანსამბლი 10 წლის წინათ ჩამოაყალიბა ცნობილმა ლოტბარმა ვლადიმერ ერქომაიშვილმა. ამჟამად კი ხელმძღვანელია ამირან თოიძე.

ამერიკელებს ფესტივალისასპარეზად შეურჩევიათ 4-5 კილომეტრიანი მინდორი ვაშინგტონის ობელისკიდან დაწყებული თვით კაპიტოლიუმის შენობამდე. ბაღებით და ტყე-პარკებით შემოფარგლულ ამ მოლზე გამლილ სახელდახელო კარვებში იმართებოდა დღეში რამდენიმე ჯგუფის 2-3 კონცერტი, რომლებსაც ადგილობრივთა გარდა, ტურისტებიც ეტანებოდნენ. მათ საშუალება ჰქონდათ ერთი კარვიდან მეორეში და მესამეში გადაენაცვლებიათ და ასე ზიარებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორულ მუსიკალურ საუნჯეს.

— **რითი განსხვავდებოდა ეს ფესტივალი თქვენთვის დღემდე ცნობილი ფოლკლორული დღესასწაულებიდან?**

— განსხვავება ის იყო, რომ აქ უნდა წარმოგვედგინა არა მარტო სიმღერები, არამედ საყოფაცხოვრებო ეთნოგრაფიული ექსპონატებიც: კერამიკა, ხის ნაკეთობანი: ჩატანილი გვქონდა ქართული სამოსელი, აკვანი და საკრავები, და ყველაფერი ეს გამოვფინეთ ჩვენთვის გამოყოფილ „ეზოში", ორი დიდი ცაცხვის ქვეშ ჩვენსავე საკონცერტო კარავთან, რომელიც შემოვღობეთ და ჭიშკარიც შევაბით. ამ ცაცხვებქვეშ დაადგუდუნეს ჩვენმა ბერიკაცებმა „ელესა" და „ნადური" — „ნადურის" დროს თობზი; ამირან ჩხარტიშვილი, კარლო ქუტიძე, ალექსანდრე მიქაძე და თვით ამირან თოიძე — ბანები.

თუმცა „ბერიკაცებად" ვახსენეთ, საქმე მთლად ასეც არ ყოფილა, მათ შორის უხუცესი 75 წლისაა, უმცროსი კი 65 წლისა. თანამედროვე გერონტოლოგიის თანახმად, ეს მოხუცებულობის ასაკი როდია!

— ჭეშმარიტად გვასახელეს, — სიამოვნებით ამბობს ანზორ ერქომაიშვილი. ამიტომაც ეპატიჟებოდნენ სხვადასხვა ოფიციალურ სალამოზე, იყვნენ აგრეთვე სმითსონიანურ ხელოვნების ცენტრში, სადაც განსაკუთრებით პატივსაცემ სტუმრებს იწვევენ ხოლმე, და ბალში საგანგებოდ გამართულ პატარა სცენაზე მასპინძელთა თხოვნით კვლავ გაისმა ქართული სიმღერები. აქაოქ ჩურჩულებდნენ, ფეხის წვერებზე დგებოდნენ. დაინტერესდი, რაშია-მეთქი საქმე. თურმე ცნობისმოყვარეობა ჰკლავდათ, — რა ინსტრუმენტი გამოსცემდა კრიმანჭულს... ძნელი წარმოსადგენი იყო მათთვის, რომ ამ ხმას ინსტრუმენტთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

— **რომ ეს ცოცხალი „ინსტრუმენტი" იყო, არა?**

— დიახ, არ სჯეროდათ, ბოლოს ირწმუნეს და აღტაცების შეძახილებს კივილიც რომ მოჰყვა, ერთ-ერთმა მომღერალმა იხუმრა: კივილი რომ გავიგონე, შევკრთი, ჩვენში უბედურებისას კივიან მარტო..

— **როგორი იყო ანსამბლის რეპერტუარი და კიდევ სად მოგეცათ საშუალება ქართული სიმღერის ახმიანებისა?**

— „ელესა" ასრულებდა ყველა ჟანრის გურულ სიმღერებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ბუნებრივი არტისტიზმი, რომელიც ოდითგან მოსდგამს ქართველობას.

რმე, საოცარი სიურპრიზი მელოდა: ალბომი კასეტებით მსოფლიოს ხალხთა 250 [illegible] მღერითა [illegible] შორის ჩვენი [illegible] 30-იანი [illegible] — თანაც არტემ ერქომაიშვილის შესრულებით!

...ამ ფაქტს რაღა კომენტარი სჭირდება! ოღონდაც, რაკი წარსულის გაღვივებაა, საუკუნის დამდეგიც მინდა გავიხსენო, როცა გურულებმა პირველად დადგეს ფეხი ამერიკის კონტინენტზე და საცირკო სარბიელზე სახელი გაითქვეს თავიანთი ჯირითითა და სიმღერით.

კიდევ რამდენიმე ინტერვიუ:

ლეონიდ მიხაილჩენკო — წმინდა იოანეს ეკლესიის მღვდელი.

დედის მხრივ ჩემი ერთ-ერთი წინაპარი ქართველი ყოფილა. მე ამერიკაში დავიბადე, მყავს ორი გოგონა, ფესტივალის კონცერტებს მათთან ერთად დავესწარი. მოვუსმინეთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ რამდენიმე ჯგუფს, მაგრამ როცა ქართულ სიმღერებს მოუსმინეს, მიუხედავად მათი მცირეწლოვანებისა, საოცარი რამ მოხდა — აღტაცებას ვერ ფარავდნენ და შემდეგ სამჯერ მაიძულეს წამომეყვანა ისინი ქართველების მოსასმენად. როგორც ჩანს, შორეული წინაპრების სისხლი კვლავ ჩქეფს მათს ძარღვებში. იმ დღიდან მოყოლებული ჩვენს სახლში მხოლოდ საქართველოზეა საუბარი.

ჩარლზ ბაუმი — „ქართული ანსამბლის" წევრი. „ელესას" ვიზიტი ვაშინგტონში ხალხური მუსიკის ფესტივალზე უდიდესი მოვლენა იყო ამერიკის დედაქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. ჩვენთვის კი, ქართული მუსიკის უდიდესი გულშემატკივრებისათვის, რომლებსაც ფანატიკურად გვიყვარს ქართული მუსიკა, ამ ჯგუფის ჩამოსვლა უდიდეს ბედნიერებად იქცა. ბედნიერებაა ისწავლო მუსიკა არა ჩანაწერებიდან, არამედ უშუალოდ იმ ხალხისგან, რომელსაც სისხლხორცში აქვს გამჯდარი იგი, ვისთვისაც სიმღერა სიცოცხლის ნაწილია. ეს ძვირფასი დღეები იყო იმ ამერიკელებისათვის, რომლებსაც უყვართ საქართველო და ქართული მუსიკა და ახლა ეს თმაშევერცხლილი ქართველი რაინდები შეიყვარეს.

კრიმანჭული შუა ვაშინგტონში და... „ჩაკრულო" კოსმოსში!

...სხვათა შორის, გამოფენაზე ექსპონირებული იყო 1907-1914 წლებში ჩაწერილი პირველი ქართული გრამფირფიტები და 30-იანი წლების ფირფიტებიც, რომლებიც ახლახან აღადგინა ფირმა „მელოდიამ" (ამ საქმეში ანზორ ერქომაიშვილის დიდი ღვაწლია).

სამახსოვრო დღედ იქცა ჩვენთვის 4 ივლისი — განაგრძო ანზორმა. — ეს ამერიკელთა ყველაზე დიდი დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე. ამ დღეს სახალხო ზეიმი იმართება ხოლმე და „ელესამაც" ოთხი კონცერტი მიუძღვნა მასპინძლებს, რასაც პრესაში კვლავ გულთბილი გამოხმაურება მოჰყვა — ქართველებმა დღესასწაული გაგვილამაზეს, საუცხოო სიმღერები გვაჩუქესო.

„ელესამ" ვაშინგტონის შემდეგ ნიუ-იორკშიც გაიცნეს — ეს იყო გალა-კონცერტი, რომელშიც სხვა საბჭოთა ჯგუფებიც მონაწილეობდნენ. პირველი განყოფილება ჩვენებმა დახურეს.

საერთოდ, ბევრი მოკეთე და მეგობარი შეიძინეს საქართველოს წარმომადგენლებმა ამერიკაში: ბედად, იმ ხანად, ვაშინგტონში იყო ინგლისური ენის მცოდნე საბჭოთა ჯგუფი და მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი მაია დოგსოპულო. იგი ყველა კონცერტს ესწრებოდა და რამდენიმე ინტერვიუც აიღო:

აი, ერთი ენთუზიასტის, პროფესორ **ალან ლომაქსის** აზრი:

— მე ვთვლი, რომ ქართული პოლიფონიური მუსიკა არის ფუძემუსიკა არა მხოლოდ ევროპული პოლიფონიური მუსიკისა, არამედ, იქნებ მსოფლიო პოლიფონიისაც ზოგადად.

როდესაც დადგა დრო, რომ მუსიკაც გაცდენოდა დედამიწას და კოსმოსში „გამგზავრებულიყო", მე მთხოვეს ამ მიზნით შემედგინა მსოფლიო მუსიკის შედევრთა გარკვეული კოლექცია. ეს მოხდა წელს: ეს კოლექცია განსაკუთრებული გახლავთ, იგი სრულიად განსხვავებული მუსიკალური სტილის ნიმუშებს შეიცავს, რითაც კი სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს გაუმდიდრებიათ ოდესმე მსოფლიო მუსიკალური საგანძური: ბეთჰოვენი, არმსტრონგი და ქართული „ჩაკრულო"! საკმარისია, რომ წარმოიდგინოთ სრულიად განსხვავებული მუსიკალური სტილები და ეროვნული წარმომადგენლობა. ქართული სიმღერის არჩევანი სტრავინსკის შედიდარი მთაბეჭდილებიდან მომდინარეობს ქართული პოლიფონიის შესახებ. შეგიძლიათ იამაყოთ: პირველი „მუსიკალური" თანამგზავრის „წევრი" კოსმოსში ქართული სიმღერაც იყო.

ბედნიერი ვარ დღეს, რომ თქვენ ჩამობრძანდით, რამდენადაც საქართველო მსოფლიოს ხალხური მუსიკის სამშობლოდ, სატახტო ადგილად მიმაჩნია.

— ალან ლომაქსმა, ამ ცნობილმა ფოლკლორისტმა, სტუმრად მიმიწვია ნიუ-იორკში ყოფნისას და მე ქართული ხალხური სიმღერების ფირფიტები მივართვი. მაგრამ საპასუხოდ, თუ-

მარკ ზუეერი — ვაშინგტონის მუზეუმის „ფონდო დელ სოლის" სამეცნიერო დირექტორი.

— ვემშვიდობები ჩემს ძვირფას ქართველ მეგობრებს, რომლებიც ცნობილი არიან მსოფლიოში თავის ყველაზე თბილი და კეთილი გულით, ქედს ვიხრი საოცარი მუსიკის წინაშე.

თქვენ მოინადირეთ ამერიკელთა გულები!

— თქვენ მოინადირეთ ამერიკელთა გულებიო, — ეს ალბათ მარტო ერთი კაცის აზრი არ არის, მით უმეტეს, რომ პრესაც იგივეს გვიმოწმებს, მაგალითად გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტის ლიზა მანდის წერილი „კავკასიელი მომღერლები" ქვესათაურით: ქართველ მამაკაცთა გუნდი ფოლკლორულ ფესტივალზე". სტატია გუნდის გარეგნობის აღწერით იწყება: სცენაზე ქამარში ცერგარჭობილი დარბაისელი ვაჟკაცები დგანან — ესენი არიან ამერიკული ფოლკლორის სმისონიანური ფესტივალის მონაწილე ქართული გუნდის „ელესას" ცხრა წევრი. ისინი იშვიათად უღიმიან ერთმანეთს.. ჯგუფის თავსა და ბოლოში მოკრიმანჭულეები დგანან — ესენი არიან იშვიათი ხმების მქონე მამაკაცები, რომელთაც ძალუძთ უმაღლეს ტონალობაში აჟღერონ ყელისმიერი გალობა, რაც ქართული სიმღერისათვის ყოფილა დამახასიათებელი. კრიმანჭულის შესრულებისას მომღერლები მხოლოდ ქვედა ბაგეს ამოძრავებენ".

ასე გაოცებით წერს მათზე კორესპონდენტი და არაჩვეულებრივ, იშვიათ სოპრანოს უწოდებს კრიმანჭულს, მერე კი დაასკვნის":

„არა, ეჭველია, რომ ისინი ნამდვილად მამაკაცები არიან: დიდულვაშა, მზით გარუჯული სახეებით".

...თავიდანვე ძალზე გულითადად მიიღეს ქართველთა გუნდი ამერიკაში. ფესტივალის გახსნის დღეს მონაწილეებს საზეიმოდ მიესალმნენ ვაშინგტონის მერი, სმიტსონის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებისა და კულტურის დარგის წარმომადგენლები, სენატორი ედუად კენედი.

„ნადურით" დაიწყო მათი წარმატება და ეს ნიშანდობლივია — ამ გუნდში ხომ ჩვეულებრივი, დიახ, სრულიად ჩვეულებრივი მამაკაცები მღეროდნენ. მღეროდნენ ისევე ლაღად, როგორც უმღერიათ ოდესმე მათ წინაპრებს, რომლებსაც სიმღერა სჩვეოდათ ჭირში, ლხინში თუ შრომაში.

ნიდნენ, „ელესას" სიმღერით კი ტვირთაკიდებული შემოვიდნენ წინაპრებივით, რომელთაც ტყიდან საშენი მასალის ან საწნახელის გამოტანაში ეშველებოდათ „ელესა". ამავე ეზოში მასპინძელთა თხოვნით გავმართეთ სახელდახელოდ ქართული ქორწილი. ტაბლები და სამფეხა სკამები ჩვენმა ხელმარჯვე ბერიკაცებმა დაამზადეს, ახლადდაქორწინებული ამერიკელი წყვილიც მოიძებნა. სიმღერები, ღვინო და ტყემალი ჩვენზე იყო, პურ-მარილი იქაურმა ქართველებმა ითავეს, ასე რომ, დიდებული ლხინი შეიქნა ყველა რიტუალის დაცვით, დაწყებული „მაყრულით" (ნეფე-დედოფალს ჭიშკარში „ელესასთან" ერთად შემოჰყვნენ ქართული მუსიკისა და ენის მცოდნე და მოტრფიალე ამერიკელები). თამადობდა ამირან თოიძე. სადღეგრძელოს შესატყვისი სიმღერა მოსდევდა.

ქორწილის ინსცენირება ფესტივალის გვირგვინად აღიარეს. „ვაშინგტონ პოსტმა" მეორე დღესვე პირველ გვერდზე დაბეჭდა „ელესას" წევრთა დიდი ფოტო.

— **გაგვაცანით თქვენი ბერიკაცები"!**

— „ელესა" ცხრა კაცის შემადგენლობით (შემცირებული) ეწვია ამერიკას. ჰიჭიკო კეჭაყმაძე და კოტე ღლეყვა კრიმანჭულები გახლავთ, გური სიხარულიძე, ვალერიან ბერიშვილი და ივანე მკურნალიძე — პირველი ხმე-

ნანა ღვინეფაძე,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

* * *

სურათზე: „ელესას" ფოტო გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსში".



რაჭული ჩანახატები.

ს. კილაძის ფოტო.

ეკოლოგია

ზღვისპირეთსაც მივხედოთ!..

ბუნებას კანონი იცავს, მისი გამრავლებისათვის სახელმწიფო უდიდეს თანხებს ხარჯავს. მიუხედავად ამისა, ჩვენს ფლორასა და ფაუნას მტერიც იმდენი ჰყავს, მათი დაცვა დღითი დღე ძნელდება.

ბევრის მომსწრე კაცი ვარ და, როცა ძველსა და ახლანდელს ვადარებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ბუნებას სათანადოდ არ ვუდგევართ შემწედ, კანონსა და სახსრებს მინიმალურადაც კი ვერ ვიყენებთ. ვილაპარაკოთ ფაქტებით: იკლო წყლის რესურსებმა, ბევრი ნაკადული მთლიანად გაქრა, მდინარეები აღარ არის ადრინდელივით კამკამა. ეს იმიტომ რომ უმოწყალოდ იჩეხება და ნადგურდება ტყეები.

აჭარაში 17 ათასი კუბური მეტრი მაღალი ხარისხის მერქანი იჭრება ყოველწლიურად, ხოლო სატყეო მეურნეობისა და საკოლმეურნეო ტყეების ფართობებზე 50 ათასი კუბური მეტრი. ეს ხომ ასობით ჰექტარია?! სანაცვლოდ ვაშენებთ კი იმდენს, რამდენსაც ვჭრით? ისიც ვიანგარიშოთ, ახალი ნარგავი ტყედ რომ გადაიქცეს, რამდენი წელი სჭირდება? სანიტარიული და მოვლითი ჭრა, ეს მხოლოდ შირმაა. ფაქტობრივად, ხელაღებით და მასობრივად ნადგურდება მასივები. ასე უმოწყალოდ თუ გაგრძელდა ტყის ექსპლოატაცია, ადვილი წარმოსადგენია, ჩვენი უმდიდრესი და უნიკალური ფლორა რა დღეში ჩავარდება, თუნდაც საუკუნის შემდეგ. ბოლო ორი წლის ზამთარმა ნათლად დაგვანახა, რა სავალალო შედეგები მოსდევს ტყეების გაჩეხვას. იმატა ზვავებმა და მეწყრებმა, ნამეწყრალის შევსება [illegible]

ნი მცენარეებით, [illegible] ავდება საქართვე[illegible] გიონებისაგან. [illegible] მავი ზღვისპირე[illegible] ალპური ზონის [illegible] უკუნის დამდეგს [illegible] ანიკური ბაღის [illegible] პროფესორი ა. [illegible] რომ: „ბათუმის [illegible] ზღვის სანაპირო[illegible] მთიანეთამდე წა[illegible] იდრეს მცენარეუ[illegible] რომელსაც მარა[illegible] ეების სიუხვით [illegible] ერთ-ერთი პირვე[illegible] ირავს. ეს ქვეყან[illegible] მხრეთული კლიმა[illegible] არ უდებს ევროპ[illegible] როორტებს".

აჭარა იმითაც [illegible] უთრებული, რომ[illegible] ლია მთისა და ზ[illegible] რაც ასე სასარგე[illegible] ჯანმრთელობისათ[illegible] ორმა ა. კრასნოვ[illegible] გი დასდო ჩვენს [illegible] რომ აჭარის ზღვ[illegible] ენა ისეთი უნი[illegible] პარკი, რომელსაც [illegible] მოეძებნება ევრ[illegible] კონტინენტის უ[illegible] ებს შეხვედრით [illegible]

[illegible]

რ. ჯინჯარაძე,
პენსიონერი პედაგოგი,
ბათუმის კომბი.

გასტროლები

ბრწყინვალე დებიუტი

ამას წინათ ლონდონში მიწვეული იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჯანსუღ კახიძე. მისი გამოსვლა მოვლენად იქცა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ხელოვნის ოსტატობას მაღალი შეფასება მისცეს იქაურმა გაზეთებმა. აი, რამდენიმე მათგანი:

„ის, რაც ყველას აუცილებლად დაახსომდება, როგორც სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი კონცერტი, არის 62 წლის ქართველი დირიჟორის — ჯანსუღ კახიძის ბრწყინვალე დებიუტი ლონდონში. მან გააჯანსაღა საორკესტრო ცხოვრება და დასაბამი მისცა თავის მომავალ ვიზიტებს ჩვენში.

იგი დირიჟორობდა ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიას, რომლის თითოეული ნაწილის ხასიათი და მელოდიური ხაზი ახლებურად წარმოადგინა. ორკესტრი დიდი მონდომებით უკრავდა, ბოლო სიმს არ იშურებდა დირიჟორისათვის. აუდიტორია გაოგნებული იჯდა.

სიმფონიის დასრულების შემდეგ იქუხა ტაშმა, შემდეგ ჩამოვარდა შოკისმაგვარი სიჩუმე, შემდეგ კვლავ განახლდა ტაში და გაგრძელდა უსაზღვროდ".

ჰილერი ფინჩი. „ტაიმსი".
„კახიძე ლონდონში პირველად დირიჟორობდა და, ბუნებრივია, სურდა დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. მით უმეტეს, რომ პროგრამა ძალიან ნაცნობი ნაწარმოებებისაგან შედგებოდა.

ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის პარტიტურის მიხედულ წაკითხვაში არაფერი იყო დაშტამპული, შაბლონური, ჩვეულებრივი.

შესრულების მასშტაბურობამ და ტემპერამენტმა აუდიტორია დამუხტა. ეს ემოციური დაძაბულობა მან ადაჯოს დასაწყისიდანვე შექმნა. მთელი ჩქარი ნაწილის განმავლობაში რიტმული საწყისი ისეთნაირად იქნა შენარჩუნებული, რომ ყველა გრძნობდა კულმინაციის გარდაუვალობას.

თუმცა დირიჟორმა ორკესტრს შთააგონა, მარში და ვალსი დიდი გატაცებით შეესრულებინა, მაგრამ ამან როდი დააკარგვინა ის ელეგიური სული, რომელიც საბოლოოდ მკვიდრდება სიმფონიის ბოლო ნაწილში".

ფრანკ გეიკერი. „გარდიანი".
„ქართველმა დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ ორკესტრი დაიპყრო თავისი ტემპერამენტით. ორკესტრის შესრულებაში იგრძნობოდა ჯოჯოხეთური სული. რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტის შესრულების დროს კახიძის მახვილმა სმენამ, რომლის მიღმაც არც ერთი საორკესტრო დეტალი არ რჩება, შექმნა არა მარტო აკომპანემენტის ფონი, არამედ სრულიად შეურწყა ერთმანეთს ფორტეპიანო და ორკესტრი.

ჯოფრეი ნორისი. „ტელეგრაფი".
ჩვენს მაესტროს ვულოცავთ ამ ბრწყინვალე დებიუტს მუსიკალური კულტურით სახელგანთქმულ ლონდონში.

„ხუცუბანი" პოლონეთში

ქობულეთის ხუცუბნის კოლმეურნეობის თვითმოქმედი ანსამბლი „ხუცუბანი", როგორც რესპუბლიკის საუკეთესო კოლექტივი, მიწვეული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ფოლკლორულ ფესტივალზე.

ფესტივალში მონაწილეობდა სსრ კავშირის, პოლონეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ჰოლანდიის 44 ფოლკლორული ანსამბლი.

რეპერტუარის ორიგინალობით, შესრულების ოსტატობით „ხუ-[illegible]

ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების ტელეკომპანია „ტი-ბი-ეს-ის" უფროსი რეჟისორი ჯონ სევერჯი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ეწვია ქართველ კოლეგებს

როგორც მკითხველებმა იციან, სატელევიზიო პროგრამა „აუქციონმა" საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მისი შემქმნელი კოლექტივი დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლებით, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელითა და ჟურნალ „ჟურნალისტის" დიპლომებით. „აუქციონი" გეგმაში შეიტანა საკავშირო ტელევიზიის პროპაგანდის მთავარმა რედაქციამ. ამ პროგრამით დაინტერესდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ტელეკომპანიები „ენ-ბი-სა" და „ტი-ბი-ესი". ამერიკელმა ტელემაყურებლებმა უკვე იხილეს აუქციონის ფრაგმენტები.

ამჯერად მორიგი „აუქციონის" ჩაწერის პროცესი ფირზე აღბეჭდეს „ტი-ბი-ეს-ის" წარმომადგენლებმა.

გთავაზობთ ინტერვიუს ამ ტელეკომპანიის უფროს რეჟისორთან ჯონ სევერჯისთან.

— ამჯერად როგორია თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

— იგივე, რაც მიმდინარე წლის მარტში. გვსურს ვნახოთ თქვენი ქვეყნის საუკეთესო გადაცემები, გადავიწეროთ, მოვამზადოთ მათზე გადაცემები და შევთავაზოთ ჩვენს მაყურებლებს.

— ჯონ, თქვენ მარტში თბილისში რომ ბრძანდებოდით, რატომღაც გადამღები ჯგუფი არ გახლდათ...

— მაშინ არ გვეგონა, თქვენი „აუქციონი" ასეთ შთაბეჭდილებას თუ მოახდენდა...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მოგეწონათ საქართველოს ეს ტელეპროგრამა?

— რატომ არ უნდა მოგვწონებოდა?! ორიგინალურადაა პრობლემებზე საუბარი. ეს ერთი თვალსაჩინო ნიმუშია თქვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესისა, თქვენებურადაც და ჩვენებურადაც ერთნაირად რომ ჟღერს: „გლასნოსტ" და „პერესტროიკა"! ეტყობა, საბჭოთა ტელევიზიას დიდი ავტორიტეტი და ძალა აქვს.

— თქვენ აუქციონის მზადების მომენტებიც გადაიღეთ...



„გისურვებთ ნამდვილ აუქციონს!"

— ზმასთან ინტერვიუ მის ავტორთან და რედაქტორთან ზაურ ფიფიასთან.

— როდის იხილავენ ტელემაყურებლები აქ გადაღებულ კადრებს?..

— ალბათ, ნოემბერში. ინტერვიუსთან ერთად გადაიცემა ფრაგმენტები იმ „აუქციონიდან", რომელსაც ამჟამად [illegible] ჩვენი ქართველი კოლეგები, მართალია „ენ-ბი-სი" უფრო ოპერატიული [illegible] უკვე გადასცა [illegible] „აუქციონზე". [illegible]

— მაინც რა მიგაჩნიათ „აუქციონის" ღირსებად?

— ფორმა! და რაც მთავარია, ჩანაფიქრი, რაც ძალზე მარტივად და გასაგებად განგვიმარტა ზაურ ფიფიამ, — „აუქციონის" მიზანი ნამდვილი „აუქციონის" მოწყობაა, რომელზეც სამამულო მრეწველობის საუკეთესო ნაწარმს გამოიტანენო.

— რა არ მოგწონთ?

— სევერჯი იცინის...

— თუნდაც ის, რომ მაინც აჩერხებთ ასეთი ტექნიკით ამგვარი გადაცემების მომზადებას.

— მოსალოდნელია თუ არა მომავალი თანამშრომლობა საქართველოს ტელევიზიასთან?

— მიუხედავად იმისა, რომ... (სევერჯი კვლავ იღიმება) თქვენი რესპუბლიკისა და ჩვენი შტატის სახელი ერთნაირად ჟღერს (ჯორჯია), ეს ჩემზე როდია დამოკიდებული. ისე, მართალი გითხრათ, ჩვენც ვფიქრობთ მსგავსი გადაცემის მომზადებას...

— თქვენთანაცაა წუნდებული პროდუქცია?..

— წარმოიდგინეთ და, არის. თუმცა ამ ფორმის გადაცემის მომზადება ერთობ გაგვიჭირდება — ჩვენთან საწარმოთა უმეტესობა ხომ საკუთარია.

— და მაინც აპირებთ?

— და მაინც...

— წარმატებას გისურვებთ!..

— გმადლობთ, კეთილი სურვილებისთვის.

— რას უსურვებთ ქართველ კოლეგებს?

— ნამდვილ „აუქციონს!.."

თ. მახარობლიძე.

* * *

სურათზე: ჯონ სევერჯი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

საბჭოთა ალპინიზმის სათავეებთან

65 წლის წინათ

1923 წლის 28 აგვისტოს ცნობილმა ქართველმა საბჭოთა მეტალურგმა, მათემატიკოსმა, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთმა დამაარსებელმა, სპორტსმენმა და სპორტის მოღვაწემ გიორგი ნიკოლაძემ მოაწყო ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე, რამაც დასაბამი მისცა საბჭოთა ალპინიზმს.

მყინვარწვერი, რომელიც მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, ხოხის ქედზე (5.047 მეტრი ზღვის დონიდან), საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით იწოდება. „მყინვარწვერი" ანუ „მყინვარი" ძველი სახელია. ეს სახელი ეწოდა იმიტომ, რომ იგი მრავალი მყინვარის შუაშია აღმართული და ყველაზე მაღალია. აქედან სხვადასხვა მხა-[illegible]

ლი სახელია „ყაზბეგი". ინგლისელი დიპლომატი ოლივერ უორდროპი ამ მწვერვალის შესახებ წერდა: „ქართველები ამ მთას ეძახიან მყინვარს და ოსები — ქრისტეს მთას (ოსები უწოდებენ „ურს-ხოხს", რაც „თეთრ მთას" ნიშნავს, — ს. ნ.). ყაზბეგი გვარია იმ ოჯახისა, ვისაც ეკუთვნის ეს ადგილები... მყინვარი არარატის მთასავით აუვალ მთად არის ცნობილი და ამიტომ არ სჯეროდათ, როდესაც თავიანთ მოგზაურობის ამბავსა სწერდნენ ჩვენი თანამემამულენი — ფრეშფილდი, მური და ტუკერი, რომელნიც დიდის გაჭირვების შემდეგ ავიდნენ მყინვარზე ივნისს 1868 წელს". („ივერია", 1888 წ. № 276).

ოლივერ უორდროპის მიერ დასახელებული ინგლისელები — ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოების მდივანი, ალპინისტი დ. ფრეშფილდი და მისი თანამგზავრები ვ. მური და ქ. ტუკერი, მართლაც ავიდნენ მყინვარზე 1868 წელს. მანამდე, 1811 წელს მყინვარზე მოეწყო დერპტის (ტარტუ) უნივერსიტეტის პროფესორის ფრიდრიხ ვილჰელმ პაროტისა და მინერალოგ პროფესორ მორიც ენგელჰარდტის ექსპედიცია.

1829 წელს პაროტმა მყინვარზე მეორე ექსპედიცია განახორციელა. ამავე წელს მოეწყო გენერალ გიორგი ემანუელის (წარმოშობით უნგრელი) ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ემილ ლენციხი, ედუარდ მენეტრიე, კარლ მაიერი, კარლ ხანკინი და ადოლფ კუპფერი. 1889 წელს მყინვარზე ავიდა რუსი ტოპოგრაფი ა. პასტუხოვი ტ. ტარახრვთან ერთად. ამავე წელს მყინვარზე ავიდნენ სიპიაგინი და კრასნოგორსკი, რომელთაც თან ახლდათ მოხევე ლალა ხუციშვილი, როგორც გამყოლი. ეს იყო პირველი ქართველი, რომელმაც მყინვარი დაიპყრო.

1891 წელს მყინვარი დალაშქრა გერმანელმა მეცნიერმა, მთამსვლელმა გოტფრიდ მერცბახერმა.

1901 წელს მყინვარზე ავიდა რუსი მთამსვლელი ქალი, მასწავლებელი მარიამ პრეობრაჟენსკაია (მარიამი მყინვარზე ცხრაჯერ ავიდა).

1910 წელს მყინვარის მწვერვალს მიაღწიეს რუსმა ალპინისტებმა, რომელთა შორის იყო სერგო კიროვი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მყინვარწვერზე პირველი ასვლა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განხორციელდა 1923 წლის აგვისტოში. ასვლას ხელმძღვანელობდა გიორგი ნიკოლაძე. ექსპედიციაში შედიოდა 18 ქართველი ალპინისტი, მათ შორის იყო 5 ქალი. სამეცნიერო ექსპედიცია თბილისიდან გავიდა 26 აგვისტოს და 27-ში ჩავიდა ყაზბეგში. ამის თაობაზე გაზეთი „კომუნისტი" მკითხველებს აუწყებდა: „28 აგვისტოს ხაშინელ ქარბუქში და 20 გრ. ყინვაში ტფილისის „სპარტაკის" 16 ინსტრუქტორი გზისმაჩვენებელი კაზალიკაშვილითურთ, ყინულზე 1200 საფეხურის გაჭრის შემდეგ ავიდა ყაზბეგის მწვერვალზე. ყაზბეგზე ასულთა შორის არის 5 ქალიშვილი. ყველანი სრულიად დაუშავებელნი გადარჩნენ. ამგვარი მოგზაურობა არ ახსოვს კავკასიის ალტენიზმს (ალპინიზმს, — ს. ნ.) ექსკურსიის ხელმძღვანელია ინჟინერი ნიკოლაძე" (1923 წ. 1 IX). 16 ალპინისტს უნდა დავუმატოთ ორი ტოპოგრაფი, რომლებიც, გაზეთის ცნობით, ექსპედიციას გაჰყვნენ „ყაზბეგისა და დევდორაკის ყინულის ტოპოგრაფიული გაზომვის შესასწორებლად, რადგან უკანასკნელი გაზომვა მოხდა დიდი ხნის წინად და საჭიროებს ზოგიერთ ცვლილებებს". როგორც აღინიშნა, ექსპედიციაში მონაწილეობდა ხუთი ქალი. ესენი იყვნენ: მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარიამ ტყავაძე და ლიდა ჩხაიძე.

როდესაც გ. ნიკოლაძის ჯგუფი მწვერვალიდან უკან ბრუნდებოდა, გზად შემოხვდა მეორე ჯგუფი, რომელსაც პროფესორი ალ. დიდებულიძე ხელმძღვანელობდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ალპინიზმს.

ს. ნუცუბიძე.

* * *

სურათზე: ქართველ მთასვლელთა პირველი ასვლა მყინვარწვერზე.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

სპორტის ამბები

ოლიმპიური კურიერი

[illegible]

სატურნირო ორბიტა

[illegible]

ლი (მძიმე წონა). სოხუმელმა მაკარ თვალაძემ (71 კგ) და ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა (აბსოლუტური კატეგორია) ვერცხლის მედლები მიიღეს.

მხატვრული ტანვარჯიში. მოსკოვში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ერთბაშად ორი სპორტსმენი ავიდა — მინსკელი მარინა ლობაჩი და კიეველი ალექსანდრა ტიმოშენკო. ამ ტანმოვარჯიშეებმა მრავალჭიდში ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს — 39,80.

ჩოგბურთი. მინსკელი ნატალია ზვერევა აშშ-ში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა. ბოლო შეხვედრა მან ელნა რეინახს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მოუგო — 6:4, 6:0. წყვილთა შეჯიბრების პირველ წრეში ზვერევამ და ლვოველმა ლარისა სავჩენკომ დაამარცხეს ბულგარელი დები — მანუელა და კატერინა მალეევები — 4:6, 6:4, 6:4.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

[illegible]

ტელევიზია — კვირა, 28 აგვისტო

თბილისი

[illegible]

მოსკოვი

[illegible]

... ინგლისელი". 19.30 — მუსიკა- [illegible]



სარედაქციო კოლეგია ... რედაქციის მისამართი: თბილისი ... ლენინის ქ. № 14

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 [illegible]